# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 19 აპრილი, 1998 წელი. №93 (2793)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


დაე, აღდგომილმა მაცხოვარმა სიყვარულით შეჰკრას და შეაერთოს სრულიად საქართველო, რათა ერთად ვადიდოთ შემოქმედი და გავიხაროთ, რომ „ღამე იგი მიიწურა და მოახლოვდა დღე...“

საალდგომო ეპისტოლედან.


ეროვნული ბიბლიოთეკა


## რეზო ამაშუკელი

## აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი...

ვითარ გუნდრუკი
ფშვინავს ირგვლივ ყვავილი ვაზის,
გაფოთლილ ღეროზე ფეთქავს გვრიტი
დაღლილი ფრენით...
— სისხლხორცო ჩემო,
ბეჭზე გკოცნი ქართულად სამგზის!
...„დამწყსენ, ამოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“
თუმც გაურიეს მირონს შენსას
სხვა სარეველი,
მაინც შრომნებით იმოსება
დღეს ტაძრის ბჭენი!
— მოუმღვის ცისკარს
კრავით ხელში, ნაზარეველი!
...„მე ვარ ვენახი,
დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი...“

მწვანე ბალახზე
ურმაი აწყობს კვერცხებს დაღებილს,
და თრთის სანთელი, მობიბინე
ნუგეშის მფენი...
— აღივსებიან გალობითა თლილი
თაღები!
...„დამწყსენ, ამოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“

ვდიოთ მაცხოვარს;
თუ კი ვამბობთ: — „ჩვენთან
არს ღმერთი!“
მონანიებით გამოვიხსნათ
მომავლის დღენი.
— აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი,
აღდგომა მკვდრეთით!
„დამწყსენ, ამოვენ,
...კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“

შევუდგათ ღარი სიყვარულის,
წყაროს დაწრეტილს,
გვეყოფა, სხვათა საამებლად
რაც ფეხი ვზნენით.
ვაშენოთ ხვალის ბალავარი
მხოლოდ განჭვრეტით!
...„დამწყსენ, ამოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“

მიწას — ხვარბალი ხვავრიელი,
ცას — მზის ხარდანი!
გაკმაროს ბედმა ღამეები
ცრემლების მდენი!
— იყავნ მაღალი,
იყავნ მრთელი,
მმლე და გამტანი!
... „დამწყსენ, ამოვენ,
კრავნი ჩემნი, ცხოვარნი ჩემნი...“

— აჰა, აღდგომა ჭეშმარიტი!
იხარეთ,
ცხოვნდით!
მოსისხლე მტერსაც
მივაგებოთ ალერსი ხვევნით!..
და კოცნის კვირტებს უფლის ჩიტი —
— ქანაობს ტოტი...
... „მე ვარ ვენახი,
დაიმარხენით მცნებანი ჩემნი...“

1993 წ.

# 19 აპრილი — ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

# გიხაროდენ!

## უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II

## საალდგომო ეპისტოლე



### საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმოყვარე ღვთივკურთხეულ შვილებს:

„კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“.

(მათე 16.18)

**ქრისტესმიერ საყვარელნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,**

აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს აღდგომისა – სიცოცხლის მომნიჭებელმა უფალმა შემუსრა ჯოჯოხეთი და დაამარცხა სიკვდილი

**ქრისტე აღსდგა!**

**გიხაროდეთ, დადგა ჟამი ზეიმისა!**

აღდგომა ქრისტესი არის საფუძველი ჩვენი რწმენისა და სიყვარულისა; იგია იმედი და სასოება ჩვენი, რადგან მისი მადლით მოვიპოვებთ მარადიულ ნეტარებას; ამიტომაც გულმხურვალედ ვუგალობთ უფალს: „პასექმა სამოთხისა კარი განგვიღო ჩვენ“...

დღეს უფრო ნათლად ვაცნობიერებთ წმ. პავლე მოციქულის სიტყვების აზრს: **„იფხიზლეთ, მტკიცედ იდექით რწმენით, მხნედ იყავით და განძლიერდით“** (1 კორინთ. 16.18).

ამ განცდით, ლოცვითა და სულიერი შრომით, მადლობა ღმერთს, განვვლეთ დიდი მარხვა – ჟამი სინანულისა. წმიდა ანდრია კრიტელის დიდი კანონის კითხვისას ჩვენ თვალწინ თითქოს გაცოცხლდა დაულალავი ღვაწლისა და სინანულის შესანიშნავი მაგალითები და დიდებული ადამიანები; პირველ რიგში კი ღირსი იოანე კიბისაღმწერელი, რომელმაც გვიჩვენა სულიერი კიბე ამაო მიწიერი ყოფიდან ჩვენი ამამაღლებელი და ზეცად აღმყვანებელი და წმ. მარიამ ეგვიპტელი – უეჭველი დასტური იმისა, თუ ჭეშმარიტ სინანულს როგორი შეუძლია ფერისცვალება და გაბრწყინვება ცოდვით დამძიმებული ადამიანისა.


იხ. მე - 2 გვ.


## პრეზიდენტი

### იუსტიციის საბჭოს მიერ შემოთავაზებული ‘სიახლე საქართველოში მართლმსაჯულების ეფექტიან და შეუფერხებელ განხორციელებას’ მოემსახურება

სასამართლოებში საქმეთა განაწილების წესში ობიექტურად აუცილებელი სიახლის დამკვიდრებას ისახავს მიზნად საქართველოს იუსტიციის საბჭოში მომზადებული კანონპროექტი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“, რომელიც 18 აპრილს განიხილა იუსტიციის საბჭომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.


იხ. მე - 4 გვ.


## ღვაწლი

### „ყველაფერი პირველქმნილი მიყვარს“...



#### სტუმრად მხატვარ ჯემალ ხუციშვილთან

ერთ ძველთბილისურ ეზოში, მეორე სართულზე ცხოვრობს მხატვარი თავისი ოჯახით. ორი პატარა ოთახი მისი სულიერი სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილის საყუდარია და მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება კაცმა თვალი გაადევნოს მისი შემოქმედების გარკვეულ ეტაპებს. კედლებზე იხილავთ როგორც ადრეული ხანის, ისე ბოლოდროინდელ სხვადასხვა ჟანრის ფერწერულ ტილოებს.


იხ. მე - 6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№93, კვირა, 19 აპრილი, 1998 წელი.

# უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II

# საალდგომო ეპისტოლე



(პირველი გვერდიდან)

ჭეშმარიტი სინანული – სულიერი განწმენდისა და ამაღლების ხანგრძლივი პროცესის შედეგია; ეს არ არის ერთი და ორი დღის ან თუნდაც რამდენიმე თვის შრომა, არამედ იგია ღვაწლი მთელი ცხოვრებისა. მაგალითისათვის მოვიტან ნაწყვეტს ღირსი სისოი დიდის ცხოვრებიდან.

მან დაუღალავი ლოცვითა და ასკეტური ცხოვრებით ისეთ სიწმიდეს მიაღწია, რომ გარდაცვლილთ მკვდრეთით აღადგენდა. როდესაც მოაწია ამქვეყნიდან მისი გასვლის ჟამმა, შეიკრიბნენ ბერები, რათა გამომშვიდობებოდნენ მოძღვარს. მათ იხილეს წმიდანი გაბრწყინვებული სახით, რომელიც უკვე ზეციურ სამყაროს უმზერდა და ამბობდა: აი, მოვიდნენ, მოვიდნენ... წინასწარმეტყველნი, ღირსნი მამანი... მოვიდნენ მოციქულნი...

მოწაფეებმა ჰკითხეს: აბბა (მოძღვარო), ვისთან საუბრობ?

მან უპასუხა: „ანგელოზები მოვიდნენ, რათა წამიყვანონ და მე ვთხოვ, რომ ცოტა დრო კიდევ მომცენ სინანულისთვის".

ბერებმა უთხრეს: შენ არ გჭირდება სინანულისთვის ზრუნვა. მან კი მიუგო: მე არ ვიცი, შევუდექი კი ამ გზას საერთოდ.

უცებ წმიდანს სახე გაუცისკროვნდა და აღმოხდა: აი, უფალი ბრძანებს: „მომართვით მე ჭურჭელი რჩეული უდაბნოდან".

ამის თქმისთანავე მისი სული სხეულს გაეყარა, ელვასავით გაკვეთა და გაანათა სივრცე და დასტოვა ეს დროებითი მიწიერი სამყოფელი. ბერები შიშით უმზერდნენ აღსასრულს დიდი მოძღვრისა.

ყოველი ადამიანი მოწოდებულია, რათა თავის თავთან ყოველდღიური შრომით მიაღწიოს სულიერ და ინტელექტუალურ სრულყოფას.

სულიერობა მხოლოდ სულიწმიდის წყალობით ეძლევა ამა თუ იმ პიროვნებას და „სნეულთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი" ეს ღვთაებრივი მადლი მხოლოდ ეკლესიაში აღსრულებულ საიდუმლოთა ძალით მიენიჭება მას.

სწორედ სულის მიერ და სულით ცოცხლობს ეკლესია. ამიტომაც, ვინც ეკლესიას განუდგება, განუდგება თვით სულიწმიდას, ხდება ღვთისმებრძოლი და მგმობელი. შედეგი კი ყოველივე ამის არის მარადიული სიკვდილი.

სულიწმიდის მადლს მთელი სისავსით ატარებს მართლმადიდებელი ეკლესია. მართლმადიდებლობა არის ადამიანური გონებით შეურყვნელი უფლისმიერი სწავლება რწმენისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ, რომელიც ჩვენ უშუალოდ წმიდა მოციქულთაგან გადმოგვეცა.

მართლმადიდებლობა ერთადერთია და შეუცვლელი, რადგან იგია მომცველი და მემკვიდრე ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ტრადიციისა.

მართლმადიდებლობა მისტიური სხეულია მაცხოვრისა. შემოქმედმა **„ყოველივე ფერხთქვეშ დაუმორჩილა ქრისტეს და მისცა მთავრობა ყოველი ეკლესიისა, რომელიც არის მისი სხეული"** (ეფ. 1.22-23), – წერს პავლე მოციქული.

ნამდვილი მართლმადიდებელი ის კი არ არის, რომელიც მხოლოდ აზროვნებს მართლმადიდებლურად, არამედ ის, ვინც აზროვნებს და ცხოვრობს ამ წესით. მხოლოდ ასეთი პიროვნება შეიმოსება სულიწმიდის მადლით, რადგან მაცხოვრის სწავლება არ არის განყენებული რომელიმე ფილოსოფიური ნააზრევი, არამედ სული და სიცოცხლე. **„სიტყვები, რომლებსაც თქვენ გეუბნებით, სული არის და სიცოცხლე"** (იოანე 6.63), – ბრძანებს უფალი.

როგორ ვიცხოვროთ სწორად?

ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა აღელვებდა ადამიანებს საუკუნეთა წინაც, აღელვებს დღეს და ასევე იქნება, ალბათ, მომავალშიც. ურწმუნონი ფიქრობენ, თითქოს, ჩვენი არსებობა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, რითაც ისინი აზრს უკარგავენ მიწიერ ყოფას და უსულო, უღვთო და უგულო ცხოვრებისათვის წირავენ ადამიანებს.

ჩვენთვის, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის კი სიცოცხლე არის წყალობა უფლისა. იგია ყოვლისმიმტევებელი და ყოვლისმომცველი მარადიული სიყვარულის გამოვლინება და ამასთან ღვთისადმი ჩვენი რწმენის, იმედისა და ერთგულების გამოცდა. სიცოცხლე არის მომზადება მარადიული ნეტარებისთვის, ეს არის მდგომარეობა, როცა გეძლევა საშუალება, იგრძნო ღმერთი შენში და შენი თავი ღმერთში.

მაგრამ ამას რომ მიაღწიოს პიროვნებამ, უნდა ჰქონდეს უფლის მცნებებზე დაყრდნობილი ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი ცხოვრება. მაცხოვარი გვარიგებს: – ...**„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა"**. ეს არის პირველი და უმთავრესი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: **„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი"** (მათე 22.37-40).

დიახ, ქრისტიანობა სიყვარულია. სადაც არ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და სიყვარული, იქ არც ღმერთია. სიყვარული მადლია ღვთისა და იგი მიეცემა მას, ვინც ღირსია მისი.

ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის სიყვარული, ისევე, როგორც არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის არსი ღვთისა. ერთი კია, იმისათვის, რომ აღორძინდეს სიყვარული, აუცილებელია სულ მცირე ორთა კავშირი მაინც, რადგან როცა ერთი გასცემს ამ გრძნობას, მეორემ უნდა მიიღოს იგი და თვითონაც აღივსოს საპასუხო განცდით.

სიყვარული – სხვისთვის ცხოვრებაა, იგი მზადყოფნაა მოყვასისადმი არა მარტო თანადგომისთვის, არამედ თავგანწირვისათვისაც. სახარებაში ვკითხულობთ: **„არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისათვის"** (იოანე 15.13). სიყვარული შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს: არის სიყვარული ღვთისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, სიყვარული მშობლებისა და ოჯახისადმი, სიყვარული მამაკაცისა და ქალისა, შვილებისა, სიყვარული მეგობრებისა და მოყვასისა...

სიყვარული ყველას სჭირდება; თითოეულ ჩვენგანს, ალბათ, არაერთხელ განუცდია მარტოობის სიმძიმე და განსაცდელის სიმწარე. პიროვნებას ზოგჯერ სულისდამთრგუნველი ისეთი სიცარიელე მოიცავს, რომ ეუფლება სასოწარკვეთილებამდე მისული გულგატეხილობა.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სავსეა ადამიანური მწუხარებით. მწუხარებას, რა თქმა უნდა, თავისი სახესხვაობებიც აქვს. მაგ. უნუგეშო სულიერი ტკივილი ძირითადად ურწმუნოებისა, არასულიერობისა და შინაგანი სიცარიელის შედეგია.

სტატისტიკა მოწმობს, რომ სხვებთან შედარებით ეკონომიურად ძლიერ და ცივილიზებულ ქვეყნებში უფრო მეტად ჭარბობს სულით დაავადებულთა და სულიერი გადახრებით გამორჩეულთა რიცხვი, ასევე ბევრია აქ თვითმკვლელთა რაოდენობა ახალგაზრდებში, რადგან ასეთ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები ძირითადად ოდენ მატერიალური ყოფით იფარგლებიან და ბედნიერებას ეძებენ იქ, სადაც იგი საერთოდ არ არის.

სამწუხაროდ, თვითმკვლელობის ფაქტები ბოლო დროს ჩვენშიც გახშირდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ შევხებივარ ამ საკითხს, კვლავაც მინდა, ყურადღება მასზე შევაჩერო.

ადამიანს, რომელიც ასეთ ცოდვას სჩადის, სრულიად დაკარგული აქვს რწმენა და იმედი ღვთისა. ეს დანაშაული იმდენად დიდია, რომ საეკლესიო კანონების მიხედვით, თვითმკვლელისთვის ლოცვაც კი აკრძალულია.

ის, ვინც ამ საშინელ ნაბიჯს დგამს, გმობს სულიწმიდას და უმძიმეს დანაშაულს სჩადის საკუთარი თავისა და სულის წინაშე. იგი ფიქრობს, თითქოს ამ გზით განთავისუფლდება იმ წამებისაგან, რაც მას მიწიერ ყოფაში ერგო;ავიწყდება კი, რომ თავს წირავს გაცილებით უფრო საშინელი და თანაც მარადიული სატანჯველისთვის, რომლისგანაც მას უკვე ველარავინ იხსნის.

როგორი ტკივილიც არ უნდა შეგხვდეთ ცხოვრებაში, გახსოვდეთ, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდინოთ ეს დანაშაული, რადგანაც ნებისმიერი მიწიერი განსაცდელის ჟამს გამოსავალის პოვნა მაინც არის შესაძლებელი, თვითმკვლელის შველა კი არავის ძალუძს.

თვითმკვლელობის მსგავსი ცოდვაა ლოთობა და ნარკომანია, რომელთაც პიროვნებები სრულ გადაგვარებამდე მიჰყავთ. თანამედროვე ყოფისთვის დამახასიათებელი ეს ორი სენი განსაკუთრებით საშიშია მცირერიცხოვანი ერებისათვის.

ექიმების, ფსიქოლოგების, მოძღვრების დაკვირვებით, წინასწარგანზრახვით არავინ ხდება არც ალკოჰოლიკი და არც ნარკომანი, არამედ ისინი თანდათან ყალიბდებიან ასეთებად.

ზოგიერთებს მოსწონთ თავაშვებულობა, სხვებს სურთ, იყვნენ უფრო ემოციურნი, ახალგაზრდების ნაწილი ინტერესის მსხვერპლი ხდება, ნაწილი კი – სხვათა ბოროტგანზრახვისა.

სამწუხაროდ, სიმთვრალის დროს ბევრნი ისეთ ცოდვას სჩადიან, რომლის გამოსწორებაც შემდეგ თითქმის შეუძლებელია. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ალკოჰოლიკები მორფინისტობას იწყებენ და პირიქით, „გამოსწორებული" ნარკომანები – ლოთდებიან. ლოთიც და ნარკომანიც, რომელიც თავს ხელში ვერ აიყვანს და ვერ დასძლევს ამ მომაკვდინებელ ცოდვას, დაკარგული პიროვნებაა როგორც ოჯახისთვის, ისე საზოგადოებისა და ქვეყნისთვის.

ლოთის ან ნარკომანის ოჯახი, როგორც წესი, არამყარია. ამგვარი მშობლების შვილები შეუძლებელია არ იყვნენ დაღდასმულნი.

ასეთმა პიროვნებებმა უნდა გააცნობიერონ თავისი მდგომარეობა და იფიქრონ ხვალინდელ დღეზე. ბოროტის ჩაგონებით მათ ხშირად გულგატეხილობა ეუფლებათ და გამოსწორების იმედი ეკარგებათ, რაც მცდარი აზრია.

აუცილებელია, მათ დაიჯერონ, რომ სწორ გზაზე დადგომა არასოდეს არ არის გვიან, შეიგნონ და დაინახონ თავისი დამღუპველი ცხოვრების წესი, გადაწყვიტონ მისგან განთავისუფლება და გულით სთხოვონ უფალს შემწეობა. ეკლესიაში მრავალი ადამიანია ისეთი, რომელთაც ღვთის დახმარებით შეძლეს ამ სენისაგან თავის დაღწევა და ნორმალური ოჯახური ცხოვრების აღდგენა.

ვიმეორებთ, უფალი შეგეწევათ, მთავარია გადაწყვეტილების მიღება.

საერთოდ ოჯახის პრობლემა მეტად მტკივნეული საკითხია. ცოლ-ქმრობა სიმძიმეც არის და ნეტარებაც. მოციქული პავლე რომ ბრძანებს: **„ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი"** (გალ. 6.2), უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მეუღლეთა ურთიერთვალდებულებებს.

როდესაც კაცი და ქალი კანონიერად, ეკლესიურად ქორწინდებიან, ერთმანეთის სამყაროს თანაზიარნი ხდებიან. ისინი სწავლობენ, როგორ დაუთმონ, როგორ შეეგუონ და შეეთვისონ ერთმანეთს სიყვარულის საფუძველზე. ბავშვები კიდევ უფრო ამყარებენ ცოლქმრულ კავშირს.

იხ. მე – 3 გვ.

# უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II

# სააღდგომო ეპისტოლე

(მეორე გვერდიდან)

საერთოდ, ადამიანები ეგოისტები არიან, მაგრამ მშობლების სიყვარულს საოცარი თვისება აქვს, – როგორც დედას, ისე მამას სურს, შვილები მათზე უკეთესები იყვნენ, მათზე გონიერები და ჯანმრთელები და მიაღწიონ იმას, რაც თვითონ ვერ განახორციელეს.

თავის მხრივ ბავშვებიც ამქვეყნად ყველაზე კარგებად მშობლებს მიიჩნევენ და ამიტომაც ბაძავენ მათ. დედ-მამის რწმენა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, წესიერება და კულტურა დიდ გავლენას ახდენს პატარებზე.

ტრადიციულ ოჯახში ყოველთვის წესრიგია. აქ უფროსები შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობენ, ამასთან, ოჯახის ყოველ წევრს თავისი ფუნქცია, სახე და მოვალეობა აქვს.

კარგი დიასახლისისათვის მთავარი ოჯახური ბედნიერებაა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, მოსიყვარულე მეუღლე და მზრუნველი დედაა, რომელიც შვილებს ეკლესიურად და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ზრდის.

რა მშვენიერია ქალი, რომელიც გამოირჩევა ღვთისმოშიშებით, სინაზით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ასეთი ადამიანი ამ სიკეთეთ უხვად გასცემს და გარშემომყოფებზეც გავლენას ახდენს.

მამაკაცი ბუნებით ლიდერია და ესწრაფვის იყოს წინამძღოლი ოჯახისა.

მამაკაცური ძალა ძლიერია და მიზანდასახული. მამაკაცი უნდა გრძნობდეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე. მან ყოველგვარ მიწიერზე მაღლა უფლის შემდეგ სამშობლო უნდა დააყენოს და, უნდა ჰქონდეს მისი დაცვის მოთხოვნილება; საჭიროების შემთხვევაში კი – თავდადების უნარი. ასეთი ადამიანები წარსულშიც და ჩვენს დროშიც მრავლად არიან.

გავიხსენოთ თუნდაც 300 არაგველი, ბერი თევდორე, ცოტნე დადიანი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, გავიხსენოთ სულ ახლახანს აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში დაღუპული ჩვენი შვილები. მათ ხომ სამშობლოსთვის დაუნანებლად გასწირეს თავი. ან თუნდაც ის აფხაზები და ოსები, რომელნიც შეეწირნენ ამ ომს და ქართველებთან ერთად მსხვერპლნი გახდნენ მესამე ძალის მზაკვრობისა.

მტრის და ნებისმიერი პრობლემის წინაშე უშიშრობა და კეთილგონიერება – აი, მთავარი და ძირითადი თვისება ღირსეული კაცის ხასიათისა. ნამდვილი მამაკაცი არის ძლიერი, გამბედავი, გონიერი, ნებისყოფიანი, სამართლიანი პიროვნება.

ამგვარი გოგონებისა და ვაჟების აღზრდას სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

მართალია, საქართველო დღეს მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, სულიერი და სხვა პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ უმთავრესი საზრუნავი მაინც ჩვენი ბავშვების სწორი აღზრდაა, რადგან ოჯახის კეთილდღეობა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაა.

და მაინც, ვის უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ფორმირებაზე?

ამ საქმის მხოლოდ მშობლებზე მინდობა არ იქნება სწორი, რადგან ისინი ხშირად სამსახურით არიან დაკავებულნი და სათანადოდ ვერ იცლიან შვილებისათვის. ვერც მხოლოდ სკოლა აიღებს ამ ტვირთს.

ვფიქრობ, ყველაზე ეფექტურია სამი ძალის – ოჯახის, სკოლის და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება. უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია და გამოიკვეთოს თითოეულის პასუხისმგებლობა და მოვალეობა. დამღუპველი იქნება შედეგი, თუ აღზრდის პროგრამა და მოქმედება არ იქნება შეთანხმებული ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის.

განათლების სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს პროგრამა ჩვენი მომავალი თაობის სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისა. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მომზადებული უნდა იყოს როგორც ოჯახური ცხოვრებისათვის, ისე საზოგადოებრივი პრობლემების გადასალახად.



იგივე ითქმის სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზეც. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით ვერ ვთავისუფლდებით ძველი სტერეოტიპებისა და სტანდარტებისაგან. განათლების პროგრამის შემუშავება კი დაუშვებელია ანთროპოლოგიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციალური ფილოსოფიის გაუთვალისწინებლად. ცნობილი ფსიქოლოგი ალექსი ლეონტიევი XX საუკუნის განათლებას ახასიათებდა, როგორც სულის გაღატაკების პროცესს ინფორმაციით გამდიდრების ხარჯზე. იგივე მდგომარეობაა დღესაც.

მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენს მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმაწვილის სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებას.

ამიტომაც ვიმეორებ, აუცილებელია დაიძლიოს ზღვარი ოჯახს, ეკლესიას, კულტურასა და განათლებას შორის.

კულტურა და განათლება პარალელურ წრფეთა მსგავსი კი არ არის, არამედ ხშირად თანმხვედრი მცნებებია. კულტურისა და განათლების კავშირი ბუნებრივად ბადებს ეკლესიასთან და ოჯახთან ურთიერთობის აუცილებელ მოთხოვნილებას. მხოლოდ ასეთ გარემოში შეიძლება აღიზარდოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ადამიანს სრულფასოვანი წარმოდგენა სამყაროზე და გამოუმუშავდება უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა.

ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც კაცობრიობა დგას ახალი ათასწლეულის წინაშე. ვფიქრობ, როგორც მსოფლიო საზოგადოებამ, ისე საქართველომაც უკვე გადაიტანა ძველის ნგრევისა და ახლის შენების დაწყების მტკივნეული პროცესი; სხვადასხვა რევოლუციური წამოწყება, კოლექტივიზაციის პერიოდი, „განვითარებული სოციალიზმის ხანა“ თუ სურვილი კომუნიზმის მშენებლობისა, – იყო მხოლოდ სისხლიანი და ავადმყოფური გამოვლინებანი ურწმუნო, უსულო საზოგადოებისა, რომელიც, ვითომცდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად უარყოფდა პიროვნების ინდივიდუალობას.

მართალია, ამ პერიოდმა განვლო, მაგრამ დრომ ახალი სნეულებანი და პრობლემები მოიტანა, რომელთა დაძლევაც ასევე აუცილებელია.

თუ ჩვენ სერიოზულად არ მოვეკიდებით რელიგიურ-ზნეობრივ საკითხებს, თუ ჩვენ ხალხს არ დავუბრუნებთ მართლმადიდებელ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ვერაფრით გავარღვევთ ჩაკეტილ წრეს და ვერ შევძლებთ ადამიანების და აქედან გამომდინარე მთელი ერის სულიერ განახლებასა და გადარჩენას.

ესაა რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ არ გვმართებს გატაცება მხოლოდ დასავლეთის ან აღმოსავლეთის, თუნდაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის კულტურით. არამედ ერთგულნი უნდა დავრჩეთ ჩვენი ტრადიციის, ჩვენი სულიერი და მატერიალური ღირებულებების. **„ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოობადი“**, – როგორც ბრძანებდა დიდი ილია. ამასთან, უნდა შევინარჩუნოთ საუკეთესო ურთიერთობები ყველასთან, მივიღოთ მათგან ის, რაც ჩვენთვის სასურველია და უხვად გავიღოთ ის, რაც მათ სჭირდებათ და რისი გაცემაც შეგვიძლია.

საქართველომ დროის გამოცდას რომ გაუძლოს, აუცილებელია ერის მთლიანობა, ერთსულოვნება, ურთიერთთანადგომა და ერთი მიზნისაკენ სწრაფვა. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სადაც ადგილი აქვს სიძულვილსა და მტრობას, შურსა და გაუტანლობას, იქ ბოროტი მძლავრობს.

სიყვარულის მქადაგებელი წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: **„ვინც ამბობს, ნათელში ვარო, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ბნელშია აქამომდე“** (I იოანე 2.9) **„ყველა, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არცერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე“** (I იოანე 3.15). **„თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუა, რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს“**? (I იოანე 4.20).

**„საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვინაიდან სიყვარული ღმრთისაგან არის და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია და იცნობს ღმერთს.**

**ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“.** (I იოანე 4.7-8).

მართალია, ძნელია, შეიყვარო ის, ვინც ტკივილი მოგაყენა, შეურაცხგყო, ცილი დაგწამა, ან გაგიმეტა, მაგრამ ფაქტია, უეჭველად დამღუპველი გზით მიდის ის, ვინც შუღლს კიდევ უფრო აღრმავებს, ვინც დაპირისპირებას ამწვავებს და მტრობას აძლიერებს, ვინც არ აკვირდება და არ მუშაობს საკუთარ გრძნობებზე, გულსა და გონებაზე, რათა უარყოფითი დამოკიდებულება და ემოციები დადებითით შეცვალოს.

მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოთ მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა.

თუ ჭეშმარიტად გვსურს ქრისტიანის სახელი გვერქვას, შევეცადოთ, მტერიც შევიყვაროთ. სიყვარული ის ერთადერთი იარაღია, რომლითაც ბოროტება დაიძლევა და განქარდება. ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი: **„გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა“** (მათე 5.44-45).

ქრისტესმიერი სიყვარულით მივმართავ ჩვენს განდგომილ იმ სასულიერო და საერო პირებსაც, რომელნიც თავისი გაუთვითცნობიერებლობით მოსწყდნენ დედა-ეკლესიას და ნებსით თუ უნებლიედ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის მტრის იარაღად იქცნენ. თქვენ კარგად იცით წმინდა მამების გაფრთხილება, რომ განყოფის და დაპირისპირების ცოდვას ადამიანი მოწამეობრივი სისხლითაც ვერ ჩამოირეცხს. დრო აჩქარებულად მიდის. შეიძლება ცოტა ხანში სინანულიც კი გვიან იყოს. ჩვენ მამაშვილური სიყვარულით მივილებთ ყველა დაკარგულ ცხოვარს, ვითარცა უძღებ შვილს.

ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს ეკლესია, ისევე, როგორც საქართველო, ყოველთვის იყო და იქნება მართლმადიდებელი, რადგან მასშია ჭეშმარიტება. ღმერთი ერთია, ჭეშმარიტებაც ერთია, ისევე როგორც ერთია ეკლესია, რომელიც არის **„ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე“** (I ტიმოთ. 3.15). შევთხოვ შემოქმედს, ყველანი ერთად ვიყოთ უფალში და ჭეშმარიტი ეკლესიის წიაღში.

ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი, ყველას გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს. დაე, აღდგომილმა მაცხოვარმა სიყვარულით შეჰკრას და შეაერთოს სრულიად საქართველო, რათა ერთად ვადიდოთ შემოქმედი და გავიხაროთ, რომ **„ღამე იგი მიიწურა და მოახლოვდა დღე...**

**მაშ, განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურვლით“** (რომ. 13.12).

ძმანო და დანო, გიხაროდეთ,

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

**ილია II**

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი**

**პასექი ქრისტესი.**

1998 წლის 19 აპრილი.

## პრეზიდენტი

# იუსტიციის საბჭოს მიერ შემოთავაზებული სიახლე საქართველოში მართლმსაჯულების ეფექტიან და შეუფერხებელ განხორციელებას მოემსახურება

(პირველი გვერდიდან)

კანონპროექტი აწესრიგებს სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში მათი შემდგომი მსვლელობის საკითხებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ფარგლებში. ძირითადი სიახლე მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების ანბანური წესია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და მაქსიმალურად გამორიცხავს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლეთა შორის საქმეთა ერთპიროვნული განაწილების შესაძლებლობას. პროექტის მიხედვით, სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობა ამ პროცესში შემოიფარგლება ანბანის დაყოფით და აუცილებლობის, კერძოდ, ერთ მოსამართლესთან საქმეთა დიდი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, მათი გადანაწილებით.

კანონპროექტი ითვალისწინებს ალტერნატიულ ვარიანტსაც, რომელიც საქმეთა კვირის სამუშაო დღეების მიხედვით განაწილებას გულისხმობს.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს პრინციპები ემსახურება სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციულ სრულყოფას და ქვეყანაში მართლმსაჯულების ეფექტიან და შეუფერხებელ განხორციელებას, რაც სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანათაგანია, საქართველოს პრეზიდენტი დაეთანხმა წარმოდგენილ კანონპროექტს.

სხდომამ განიხილა კანონპროექტი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, სოციალურ გარანტიებს და სხვა საკითხებს, რომლებიც აწესრიგებენ მართლმსაჯულების განხორციელებაში მსაჯულთა მონაწილეობას. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ კანონპროექტის ძირითად პრინციპებს და შეთანხმდნენ, რომ დამატებით განიხილავენ მსაჯულთა შრომის ანაზღაურების საკითხს.

სხდომას წარედგინა 1997 წელს სასამართლოთა საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მიმოხილვა, რომელშიც გამოკვეთილია გარკვეული ტენდენციები, კერძოდ, კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ შესაბამისი სამსახურების საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობა, სასჯელის არასაპატიმრო ღონისძიებების ფართოდ გამოყენება, რაც, არსებულ პირობებში, შესაძლოა, სასჯელისგან თავის არიდების საშუალებად იქცეს, და ზოგიერთი სხვა. ამავე დროს, საგულისხმო ტენდენცია დაფიქსირდა სამართალდამცავი ორგანოებიდან სასამართლოებისათვის საქმეთა გადაცემის რაოდენობის თვალსაზრისით. თუ 1992 წელს სასამართლოს განსახილველად რეგისტრირებულ დანაშაულთა მხოლოდ 18,7 პროცენტი გადაეცა, 1997 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 59 პროცენტს შეადგენს, რაც სტაბილიზაციის ფონზე სამართალდამცავი საქმიანობის გააქტიურებაზე მეტყველებს. თუმცა, საბჭოს წევრთა შეფასებით, არც ეს მაჩვენებელი იძლევა დამშვიდების საშუალებას.

როგორც სხდომაზე ითქვა, იუსტიციის საბჭო სისტემატურად გამოუშვებს სტატისტიკის ანალიზს ბიულეტენის სახით, რაც, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, საჭირო და აუცილებელი საქმეა. როგორც მან აღნიშნა, ამგვარი ანალიზი რეფორმის პროცესში ბევრ კონკრეტულ და აუცილებელ რეკომენდაციას გვიკარნახებს.

იუსტიციის საბჭომ მოისმინა ინფორმაცია ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, საქალაქო და რაიონული სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურები.

# სემ ბრაუნბეკი: საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შეესაბამება

18 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკელი სენატორი სემ ბრაუნბეკი.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის საკმაოდ კარგად ცნობილმა პოლიტიკოსმა, რომელიც გამოირჩევა მკაფიო პოზიციით საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებში, ამჯერადაც მთელი სიცხადითა და პრინციპულობით დაადასტურა თავისი ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი და განაცხადა, რომ ასეთია საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისადმი. ამასთან, აღნიშნა, რომ ამერიკამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს და უფრო ნათლად უჩვენოს მთელ მსოფლიოს თავისი პოლიტიკის ეს ორიენტირი.

სენატორმა აღნიშნა, რომ ამერიკის სენატში აქტიურად განიხილება კანონპროექტი „აბრეშუმის გზის“ შესახებ, რომელსაც ამერიკა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა იმისა, რომ ეს მაგისტრალი დამაკავშირებელი ხიდია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მისი ამოქმედება, სემ ბრაუნბეკის განცხადებით, დიდად შეუწყობს ხელს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიტეტის განმტკიცებას. რაც შეეხება საქართველოს, სენატორის შეფასებით, იგი ამ სახელმწიფოთა ჯგუფში ერთ-ერთი ძირითადი და საკვანძო ქვეყანაა, რაც განაპირობებს კიდეც ამერიკის განსაკუთრებულ ინტერესსა და მხარდაჭერას. „ჩვენ ვამაყობთ, თუკი მცირეოდენი წვლილი მაინც მიგვიძღვის საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის გაძლიერებასა და სახელმწიფოებრივ წინსვლაში“, განაცხადა სემ ბრაუნბეკმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

## ორბიტა

**როგორც ვიუწყებოდით, 8-9 აპრილს პარიზში, იუნესკოს ეგიდით გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმი.**

**კოლოკვიუმს ოთხი ძირითადი მიმართულება ჰქონდა: ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემები; ქართველი ებრაელები; ქართული და ფრანგული ისტორიული სკოლები; წმინდა გიორგის კულტი საქართველოში.**

**თავმჯდომარეობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟორჟ შარაშიძე. პრობლემათა განხილვაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ისრაელის და საქართველოს მეცნიერები.**

**სამეცნიერო კოლოკვიუმს საფრანგეთის ფართო სამეცნიერო საზოგადოების და ქართული დიასპორის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

**ქართული კულტურისა და ისტორიის დღეების ორგანიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ელჩს საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძეს. მასში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი გივი შეყილაძე ესაუბრა პროფესორებს რევაზ სირაძეს და ზურაბ კიკნაძეს.**

# ეს იყო პარიზში

## უნივერსიტეტის მეცნიერება იუნესკოში

**ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი რევაზ სირაძე:**

— უცხოეთში ქართული მეცნიერების და, საერთოდ, ქართული კულტურის წარდგენა დღეს იშვიათობას აღარ წარმოადგენს. მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, როცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება საკმაოდ ფართო მასშტაბით წარსდგა იუნესკოში საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმზე (რომელიც იყო შესანიშნავად ორგანიზებული მთელი საელჩოს მიერ და, განსაკუთრებით, ქალბატონი ნათელა ლალიძის გარჯით).

კოლოკვიუმის თანათავმჯდომარე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ფრანგულ ენაზე მიესალმა მასპინძლებს და უცხოელ მონაწილეებს. მისი მოხსენება კი შეეხებოდა იმ საერთო ევროპულ-ქართულ საისტორიო და კულტურულ პრობლემებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სადღეისო და სამომავლო კვლევა-ძიებას. მანვე წარმოაჩინა, თუ როგორ ხორციელდება ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და, საერთოდ, ქართულ მეცნიერებაში.

პროფესორმა ჟორჟ შარაშიძემ განიხილა ქართული საისტორიო მეცნიერების დადგინება-განვითარების გზები მარი ბროსეს, ექვთიმე თაყაიშვილის, განსაკუთრებით, ივანე ჯავახიშვილისა და მათი მოწაფეების მიერ.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ქართული დამწერლობისა და მწერლობის წარმოშობა-განვითარების პროცესი განიხილა ქრისტიანულ და წინაქრისტიანულ ეპოქათა კულტუროლოგიის ასპექტში. მანანა გიგინეიშვილმა თავისი მოხსენება — „პიროვნების განვითარების ზოგიერთი საკითხი ქართულსა და ევროპულ ლიტერატურაში“, დაუკავშირა დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ამოცანებს ევროპულ კულტურასთან დიალოგის თვალთახედვით. ჯემალ აჯიაშვილისეული გააზრებანი შეეხებოდა საქართველოში შექმნილ ებრაულ კულტურასა და ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთზეგავლენის მნიშვნელოვან საკითხებს, რამაც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა და საგულისხმო პერსპექტივაც დასახა. ზურაბ კიკნაძემ საინტერესოდ წარმოაჩინა ქართული სიტყვიერების ისტორიული განვითარების ორიენტირები ევროპული ლიტერატურის პრობლემებთან მიმართებაში. ჩემი მოხსენება ეხებოდა ქართული კულტურის სხვადასხვა ფორმებში წმინდა გიორგის სახეს, ვითარცა საფუძველს არაერთ ისტორიულ ეპოქაში დასაველური ტიპოლოგიის ადამიანთმცოდნეობის განვითარებისა.

მრავალმხრივი იყო უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობა ამ კოლოკვიუმში. იყო საყურადღებო შეკითხვები, ფრიად სასარგებლო კამათი, რაც ამჟღავნებდა მათს ინტერესსა და ცოდნას ქართველოლოგიური პრობლემებისადმი. ამასთანავე, წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი საგანგებო მოხსენებანი ქართველოლოგიის საკითხებსა (კონსტანტინე ლერნერი, გასტონ ბუაჩიძე, ტანია ველმანსი, ნიკოლ ტიერი) და სხვა საერთო ინტერესების შემცველ პრობლემებზეც (ჟან რადვანი, ბერნარ უტიე, ჟან-პიერ მაე, მორის ემარი, შარლ ურჟევიჩი).

ეს იყო ჭეშმარიტად კულტურათა დიალოგი, მეცნიერულ აზრთა ურთიერთშეჯერებით თუ განსხვავებულ მოსაზრებათა წარმოჩენით.

ბოლო წლებში დასავლეთში ჩვენი ქვეყნის შესახებ შეჭირვების ამბები უფრო ხშირად ესმით. ამიტომ, როცა იგებენ, რომ ასეთ პირობებშიც კი ჩვენი ქვეყნის უმთავრესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი მეცნიერებით ცხოვრობს და ვითარდება, ეს უთუოდ აღვივებს და აცხოველებს საერთო ინტერესს საქართველოს მიმართ.

**ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ზურაბ კიკნაძე:**

— ამ გრანდიოზულ პროგრამაში, რომელიც გულისხმობს ქართული კულტურის წარმოჩენას საფრანგეთში მთელი წლის განმავლობაში (1998 წლის გაზაფხულიდან 1999 წლის გაზაფხულამდე), კოლოკვიუმის ორი დღე, ჩვენი დელეგაციის მონაწილეობით, შეიძლება ნაკლებად ეფექტიანი მოჩვენებოდა კაცს. მას წინ უძღოდა ქართული ხელოვნების წარმოდგენა „შანზელიზეს თეატრში“ სახელწოდებით „საქართველოს ვარსკვლავები“ (ასეთი წარწერა ჰქონდა ბილეთს). ეს იყო მართლაც, როგორც პროგრამა იუწყებოდა, სარკმელი, გაღებული ქართული კულტურისკენ, თუმცა ერთი სარკმელი და ერთი ნაწილი ვარსკვლავთა: ალექსანდრე კორსანტია, ლიანა ისაკაძე, იანო თამარ ალიბეგაშვილი, ბავშვთა ანსამბლი „მართვე“, ომარ განიძე, დათო ევგენიძე... მათი ვირტუოზული ოსტატობის შეფასებას არ შევეცდები, ელისეს მინდვრების თეატრალურმა პუბლიკამ ის მრავალჯერადი „ბრავოთი“ შეაფასა.

თუმცა ჩვენი კოლოკვიუმი ამჟამად იყო წვეთი ზღვაში მთელი პროგრამის მასშტაბით, მაგრამ მისი მნიშვნელობა განუზომელია, ამ „წვეთში“ გამოჩნდა ქართული სიტყვიერების, ხელოვნების სახე. რა იყო პირველ რიგში აღსანიშნავი? ის, რომ კოლოკვიუმში სამი ქვეყნის სწავლულნი იღებდნენ მონაწილეობას: საქართველოსი, ისრაელის და საფრანგეთისა და კიდევ მისი პროგრამის სპექტრი: ქართული სიტყვიერება, ქართველი ებრაელობა, ქართული და ფრანგული ისტორიული სკოლები, წმინდა გიორგი და საქართველო. ეს ორი დღე „კულტურული დღეებისთვის“ უჩვეულოდ დაძაბული იყო; კამათი, კრიტიკული შენიშვნები — უკომპრომისო და უშელავათო... პროფესორი რევაზ სირაძე კარგა ხანს იგერიებდა არცთუ მარტივ კითხვებს ფრანგი კოლეგისგან (ტანია ველმანსი), რომელსაც ანალოგიური მოხსენება ჰქონდა, ოღონდ ხელოვნებათმცოდნეობითი განხრით („წმინდა გიორგის სახე ქართულ წყაროებში“). ჩვენი კოლეგა ჟორჟ შარაშიძე (აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ინსტიტუტის პროფესორი), რომელიც აკადემიკოს როინ მეტრეველთან ერთად უძღვებოდა სხდომებს, კეთილგანწყობილად აღნიშნავდა ჩვენს პრინციპულ დაპირისპირებებს ქართული ხალხური რელიგიური ყოფის საკვანძო პრობლემებში, რითაც ჭეშმარიტად მეცნიერულ ტონს აძლევდა კოლოკვიუმის მიმდინარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით მკაცრი რეგლამენტის გამო (ათი წუთი), რამაც საკმაოდ შეზღუდა ჩვენი მოხსენებების სივრცე, კოლოკვიუმის მსვლელობამ გაარღვია დროის არტახები. დამატებით მოვისმინეთ ქალბატონ მანანა გიგინეიშვილის მოხსენება ქართული სულიერი კულტურის კარდინალურ ტენდენციებზე და პრინციპებზე, რომელიც მან აუდიტორიაშივე ჩამოაყალიბა, რაც შესაძლებელი გახადა კოლოკვიუმზე გამეფებულმა შემოქმედებითმა მუხტმა, გარემო ხელს უწყობდა იმპროვიზაციას. ასევე რიგგარეშე მოვისმინეთ ქალბატონ ვალერი ლე გალშერ-ბარონის მცირე მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ქართველურ ტომთა წარმომადგენლების (ხევსურისა და კახელის) ტიპოლოგიურ დახასიათებას.

კოლოკვიუმს ესწრებოდნენ საფრანგეთისა და ისრაელის ელჩები იუნესკოში, რომლებმაც ერთხელ კიდევ გაითავისეს ქართველი ებრაელობის ფენომენი. იგი არა მხოლოდ ისტორიულ რეალობას გამოხატავს, არამედ, დღევანდელი ისრაელისა და საქართველოს კულტურული ყოფის ცოცხალი ნაწილია. ჯემალ აჯიაშვილისა და კონსტანტინე ლერნერის (იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი) მოხსენებები მიეძღვნა ამ თემას და ისინი ეხმაურებოდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს.

ჩემი მოხსენება — „ქართული სიტყვა: ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი ტენდენციები“ — ერთგვარად პანორამული იყო. იგი შეეხებოდა საეკლესიო და საერო მწერლობის გამჭოლ (გარდამავალ) მოტივებს, როგორიც არის — „სოფლის სამდურავი“, „სოფლის ძლევა“ (აგიოგრაფია, „ვეფხისტყაოსანი“, ბარათაშვილი), „სად წაიყვან სადაურსა“ („ვეფხისტყაოსანი“, ე. წ. აღორძინების ხანა, ბარათაშვილი), ადამიანის ფერისცვალება, ახალი ადამიანის დაბადება (აგიოგრაფია, ბარათაშვილი, ვაჟა), ფოლკლორში ეგზისტენციალური დრამა (ამირანის ეპოსი) საპირისპიროდ ბერძნული ტრაგედიის ბედისწერისა...

**ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ დიდია მსოფლიოს მეცნიერთა დაინტერესება საქართველოს ისტორიითა და კულტურით.**

**პარიზის კოლოკვიუმმა, მისმა ქართველმა და უცხოელმა მონაწილეებმა წარმოაჩინეს პრობლემათა კვლევის დღევანდელი დონე და მისი პერსპექტივები.**

# აფრიკელი კონკია აცდუნებს ამერიკას





შავ კონტინენტზე აშშ პრეზიდენტის უპრეცედენტო ტურნეს დროს უგანდის ქალაქ ჯინჯაში ახალშობილს ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის პატივსაცემად სახელად ბილ კლინტონი დაარქვეს.

# უზომო გადასახადი ეკონომიკას აჩანაგებს

ევროპის კავშირის ქვეყნებში ფარული ეკონომიკის მოცულობამ წელიწადში 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც დიდი ბრიტანეთის მთელ შინაგან მთლიან პროდუქტს შეესაბამება. ევროპის კომისიის მონაცემების თანახმად, საბერძნეთის ეკონომიკის მესამედი, აგრეთვე, იტალიისა და ესპანეთის ეკონომიკის მეოთხედი „შავ ბაზარს“ ეკუთვნის. ფარული ეკონომიკის სფეროში დასაქმებულია ევროკავშირის ქვეყნების 28 მილიონამდე მცხოვრები. ეს გამაოგნებელი ციფრები, აღნიშნავს გაზეთი, არ შეუტანიათ ევროპის კომისიის ოფიციალურ წლიურ ანგარიშში, ექსპერტების აზრით, ფარული ეკონომიკის აყვავების მიზეზია გადასახადის მაღალი დონე და მეწარმეთა საქმიანობის „რეგულირების“ გადამლაშება.

* * *

ევროპის გაერთიანებათა კომისიის მონაცემებით, ევროკავშირში ეკონომიკური აქტიურობის 20 პროცენტი არადეკლარირებული შრომით არის უზრუნველყოფილი. 10-დან 28 მილიონამდე კაცი იღებს ხელფასს, მაგრამ არ იხდის გადასახადს. ეს პრობლემა მეტნაკლებად ეხება ევროკავშირის ყველა ქვეყანას. ყველაზე მეტად „გამოიჩინეს თავი“ იტალიამ და საბერძნეთმა. ყველაზე ნაკლებად – სკანდინავიამ, ირლანდიამ, ავსტრიამ და ჰოლანდიამ. კომისიას მიაჩნია, რომ ამის უმთავრესი მიზეზია საგადასახადო და სოციალური ტვირთის სიმძიმე და შრომის კანონმდებლობის ხარვეზები. პრობლემას არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან მის გადასაწყვეტად საჭირო გახდება ნაკლებად პოპულარული პოლიტიკური ღონისძიებანი. ევროკომისიას ესახება პრობლემის გადაჭრის ორი რეალური გზა: რეპრესიები და პროპაგანდის კამპანია მოსახლეობას შორის, და, მეორე მხრივ, – გადასახადისა და სოციალური მისაცემლების შემცირება იქ, სადაც ისინი ძალზე დიდია.

# ვის აღიარებენ „XX საუკუნის № 1 პიროვნებად“?

ამერიკის ჟურნალი „ტაიმი“ იწყებს იმ ადამიანებისადმი მიძღვნილ სპეცგამოშვებათა სერიას, რომლებმაც გავლენა მოახდინეს XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაზე. პირველი გამოშვება ეხება 20 პიროვნებას, რომელთა შორის არიან პოლიტიკოსები და რევოლუციონერები – მარგარეტ ტეტჩერი, უინსტონ ჩერჩილი, ვლადიმერ ლენინი, ჰიტლერი, აიათოლა ხომეინი, ინდირა განდი, მიხეილ გორბაჩოვი, ნელსონ მანდელა, ლეხ ვალენსა, ხო ში მინი, მაო ძე დუნი და უცნობი ჩინელი სტუდენტი, რომელმაც გზა გადაუღობა ტანკებს პეკინის ტიანანმენის მოედანზე ახალგაზრდობის რბევა-დაწიოკების დროს. პირველ ოცეულში შევიდა აგრეთვე, მარგარეტ სენგერი – საუკუნის დამდეგს ეს ქალი იბრძოდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა ლეგალიზაციისათვის. მომდევნო გამოშვებები გააშუქებენ ამ საუკუნის კიდევ 80 ისტორიული პიროვნების ცხოვრებას, ხოლო ტელევიზიით გავა მათი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი პროგრამების სერია. 1999 წლის დეკემბერში ჟურნალი დაასახელებს „XX საუკუნის ადამიანს“.

# ცოლების 90 პროცენტი დასაშვებად თვლის ღალატს, 10 პროცენტი – ჭოჭმანობს!

ამერიკის გაზეთი „სან-ფრანცისკო კრონიკლი“ აქვეყნებს ფრანგი სოციოლოგების ნაკვლევს ცოლ-ქმრული ღალატის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტი ყურადღება დაეთმო ქალთა ნახევარს, რომელიც, როგორც ცნობილია, ერთობ იდუმალი ქცევით გამოირჩევა. კითხვაზე — „ვისთან შეიძლება უღალატოთ თქვენს ქმარს?“ ფრანგი ქალების 25 პროცენტმა უპასუხა, რომ სავსებით შესაძლებლად მიაჩნია ახლო ურთიერთობა თანამშრომელ კოლეგებთან. ამდენივე ქალი არ გამორიცხავს ანალოგიურ ურთიერთობას ახალ და საინტერესო ნაცნობებთან. დაახლოებით ორმოცმა პროცენტმა შეიძლება ვერ გაუძლოს ცდუნებას, თუ საკუთარი ქმრის მეგობართან მარტოდ მარტო დარჩა. დანარჩენი 10 პროცენტი, თუმცა საკმაოდ კრიტიკულად უყურებს ღალატს, მაგრამ მაინც არ გამორიცხავს გარემოებას, რომელმაც ქალს შეიძლება ესოდენ საძრახისი მოქმედებისათვის უბიძგოს, დასძენს გაზეთი.

# რაც ჩვენ რეკლამებს გვასმენინებენ, საკონტინენტთაშორისო საუბრებიც უფასო უნდა გვქონდეს!

საქალაქთაშორისო საუბრების საფასურის ანაზღაურების ერთობ ორიგინალურ სისტემას სთავაზობს კლიენტებს ქალაქ პიტსბურგის ერთ-ერთი სატელეფონო კომპანია, წერს „დეილი ტელეგრაფი“. აბონენტს შეუძლია რეკლამის მოსმენის გზით დაიგროვოს სოლიდური მოცულობის უფასო სასაუბრო დრო. ყოველი 15-წუთიანი ცნობის მოსმენა იძლევა უფლებას, 2 წუთს უფასოდ ესაუბრო ნებისმიერ ქალაქს შეერთებულ შტატებში. ბუნებრივია, არც რეკლამის პატრონი რჩება ზარალში. აბონენტი წინასწარ ავსებს ანკეტას და იღებს თავისი ინტერესების შესავსების რეკლამას. თანაც, სარეკლამო მომსახურება „ინტერაქტიური“ იქნება – აბონენტს შეეძლება დაუყოვნებლივ შეუკვეთოს სასურველი საქონელი, რისთვისაც საკმარისია განსაკუთრებულ ღილაკს დააჭიროს თითი.

# ბირთვული იარაღი მიღებულია, გამოგზავნეთ ტექნოლოგია!

ირანს აქვს რამდენიმე ბირთვულქობინიანი რაკეტა, წერს ისრაელის გაზეთი „ჯერუზალემ პოსტი“. გაზეთის მონაცემებით, ქობინები ირანში 90-იანი წლების დამდეგს მოხვდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან.

ირანის სამთავრობო დოკუმენტების თანახმად, თეირანმა 1992 წლიდან ყაზახეთიდან მიიღო 5-მდე საბრძოლო ქობინი და გარკვეული რაოდენობის ურანი. კერძოდ, 1992 წლის 2 იანვრის დოკუმენტში ნათქვამია, რომ ბირთვული იარაღი ინახება თეირანის მახლობლად მდებარე სამხედრო ბაზაში, ხოლო ირანელები ელოდებიან რუს სპეციალისტებს დამცავ მექანიზმში გამოვლენილ უწესივრობათა აღმოსაფხვრელად. როგორც გაზეთი იუწყება, ამერიკელმა ექსპერტებმა დაადასტურეს დოკუმენტების უტყუარობა. „გაარეტცის“ ინფორმაციით, ისრაელის მხარე მხარს უჭერს შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებულ პოტენციურ ანტირუსულ სანქციებს. სანქციების შემოსაღებად საკმარისია, რომ რუსეთი ვერ აღუდგეს წინ ბირთვული ტექნოლოგიების ირანში მიწოდებას.





ნასას მონაცემებით, ასტეროიდი 1997 – XF11, რომლის დიამეტრი 1,5 კმ-ს და წონა – 1 მილიარდ ტონას შეადგენს, თითქმის მილიონ კილომეტრზე „ჩაუვლის დედამიწას, რაც გამორიცხავს დაჯახების შესაძლებლობას. აქამდე იუწყებოდნენ, რომ ასტეროიდი დედამიწას 40 ათასი კილომეტრ მანძილზე მოაუხლოვდება და შეჯახება გარდაუვალიაო.

# ამერიკელ ქალებს სიცოცხლეშივე უმკვიდრებენ ადგილს პანთეონში

აშშ ქალთა დიდების პანთეონს სოლიდური შევსება მოელის, იუწყება ამერიკის გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი“. ამერიკელ ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის დაარსების 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად, მშვენიერი სქესის ყველაზე თავგამოჩენილ წარმომადგენელთა სიაში საზეიმოდ შეიტანენ ოცდაერთი ქალის სახელს. მათ შორის არის აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, რომელსაც ეს პატივი დაედო სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე გაწეული ღვაწლის, აგრეთვე ქალთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისათვის. ოფიციალური ცერემონია ივლისის დამდეგს არის დანიშნული.

სან-რემოს სიმღერის ფესტივალის ერთ-ერთი ვარსკვლავი გახდა არა მომღერალი, არამედ ჩეხი მოდელი ევა ჰერციგოვა. მის საკოცნელად რიგში ჩადგა ამერიკელ მუსიკოსთა პოპ-ჯგუფი.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№93. კვირა, 19 აპრილი, 1998 წელი.

## ღვაწლი

(პირველი გვერდიდან)

ძნელია იმის განსაზღვრა, რომელ მათგანში ვლინდება ყველაზე უფრო მხატვარი, პეიზაჟებსა თუ ნატურმორტებში, პორტრეტებსა თუ კომპოზიციებში, ერთი რამის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, ყველა ნამუშევარი ქართულია, ეროვნული სულით დამუხტული, შთაგონებულია სამშობლოს ბუნებითა და წარსულით, ქართველი კაცის განცდებითა და ფიქრებით, ყოველი მისი ნამუშევარი ეფუძნება ერის ფესვებს, მის ხალხურ ხელოვნებას, ფოლკლორს, ტრადიციებს.



# „ყველაფერი პირველქმნილი მიყვარს“...

და თუ ადრეულ ნახატებში სჭარბობს კახეთის პეიზაჟები, მისი ყოფის ამსახველი ტილოები, ეს ბუნებრივიც არის. თელავში, კახეთის ამ კოლორიტულ ქალაქში იღებს სათავეს მისი შემოქმედება, ქალაქში, სადაც ხატვის ანა-ბანა სერგო ასლანიშვილმა ასწავლა. სწორედ მას უმადლის ბატონი ჯემალი თავის სულიერ დამკვიდრებას, პროფესიულ ჩვევებს.

აი, ყმაწვილობისას დახატული სურათები „ლობე“ და „ურემი გზაზე“, რომლის გამოც ჯემალ ხუციშვილი ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლიდან გამოურიცხავთ პირველსავე წელიწადს.

„ჩემზე თქვეს, იმპრესიონიზმის სტილში ხატავსო და ვაითუ სხვა მოსწავლეებზეც მოახდინოს გავლენაო... დრო იყო ასეთი... ამის შემდეგ გრაფიკოსმა შურა ქუთათელაძემ მირჩია, მოდი, ლადო გუდიაშვილს ვაჩვენოთ შენი ნახატებიო და მიმიყვანა კიდეც მასთან.

— რას იტყვითო? — ჰკითხა შურამ; — რა უნდა ვთქვა, პროფესიონალი მხატვარიაო, — უპასუხია ბატონ ლადოს“.

ცოტა მოგვიანებით კი მოგონებათა წიგნში ბატონი ლადო ჩაწერს: „ძალიან მიყვარს ახალგაზრდა მხატვარი ჯემალ ხუციშვილი, ადამიანი, რომელიც არ შეუშინდა სიძნელეებს და იპოვა საკუთარი „მე“, მხატვარი, რომელსაც ჭეშმარიტი მხატვრის თავისებური სახე აქვს“.

საკუთარი „მე“ დაუღალავი შრომით უპოვია ბატონ ჯემალს. მონუმენტური მხატვრობით დაინტერესებულა, საქართველოს ყველა კუთხე მოუვლია, ქართული ფრესკების ასლებს იღებდა, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს ექსპედიციებში დაჰყვებოდა და ტილოზე აღბეჭდავდა ქართული კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს, მისი ბინის კედლებიდან ასე უხვად რომ შემოგვყურებენ. გამორჩეულია მისი საყვარელი ბაზილიკები, ურომლისოდაც ცხოვრება არ შეუძლია.

მხატვრის შემოქმედებით ცხოვრებაში საინტერესო იყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში 1966 წელს, რომელმაც მნახველთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

აი, როგორ შეუფასებია ეს გამოფენა გამოჩენილ ქართველ ხელოვანს ელგუჯა ამაშუკელს: „პოეტური კომპოზიციები ზოგჯერ ღრმად, ფილოსოფიურად განზოგადებული საოცარი მთლიანობით და უშუალოდ იყო შესრულებული, მისი მხატვრული ხედვა, ხატვის ძალდაუტანებელი მანერა თავისებური ტექნიკური საშუალებები, ძლიერ და მოულოდნელ მხატვრულ-ემოციურ ეფექტს ახდენდა მაყურებელზე. ამ გამოფენამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა დიდი ნიკო ფიროსმანაშვილი“.

ჯემალ ხუციშვილის თვითმყოფად ხელწერაზე კიდევ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. მისი ნიჭის ბევრი დამფასებელიც გამოჩენილა.

გიორგი ლეონიძე დაინტერესებულა და პაპუნა წერეთელს მიუყვანია მასთან.

„გამარჯობა, კახელო, — ასე მომესალმა გოგლა, წამოდგა და ჩამეხუტა. ვისაუბრეთ, ნამუშევრები მომიწონა. მერე უცბად მკითხა: — ჩემი „ნატვრის ხე“ თუ წაიკითხეო. წიგნი მაღაზიებში ახალი გამოტანილი იყო და ჯერ ვერ მომესწრო მისი ყიდვა, არა-მეთქი, რომ ვუთხარი, ეწყინა, თითქოს გაიბუტა კიდეც. მერე მომიბრუნდა და მითხრა: „აი, შენ რაცა გაქვს შენს ნახატებში, მეც ისა მაქვს, ოღონდ პროზადო“.

პირველ გამოფენას მოჰყვა პერსონალური გამოფენები მოსკოვში, მერე ისევ თბილისში, ტალინში, თელავში, მირზაანში, მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში იაპონიაში, ინგლისში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვაგან.

ძიების წლები. მხატვარი მეტი გამომსახველობის მისაღწევად ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებს და აგნებს კიდეც. უწინარესად, კონტურებს მიმართავს ეფექტისა და წარმოსახვის გასაძლიერებლად, კონტურით აკონკრეტებს თავის სათქმელს. ძლიერ ფერწერულ შთაბეჭდილებას ახდენს მის ნახატებში ამეტყველებული შავი ფერი. ეს მხატვრის ძირითადი ფერია და მიაჩნია, რომ ქართულ თემას იგი ძალიან მიესადაგება.

„მე მგონი ქართველ კაცს ჭრელი ფერები მაინცდამაინც არ უყვარს, ტრადიციულად იგი თავშეკავებული და თავდაჭერილია ფერითაც და ფორმითაც. ეს თუნდაც მის ტანსაცმელშიც ვლინდება, რომელიც მოხერხებულიც არის და მკაცრიც. შავ ფერზე დასმული სხვა ფერიც კონკრეტდება და ამავე დროს აწყნარებს მას“.

ალბათ, ამიტომაც გეუფლებათ საოცარი სიმშვიდე ზეთითა თუ პასტელით შესრულებული მისეული პეიზაჟების ხილვისას, „სოფლის ეზო“, „შემოდგომის პეიზაჟი“, იმერეთისა და სვანეთის ხედები.

მხატვრის მიერ აღქმული სამყაროს ნაწილია ქართული ხალხური მუსიკა და ლიტერატურა და მისი არაერთი ნახატია ამით შთაგონებული.

ჯემალ ხუციშვილის ხელოვნების აზროვნების საწყისი ბიბლიურია. ქრისტიანული თემები მუდამ იზიდავდა, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში. თვით ყოფით თემებსაც რელიგიური ელფერი დაჰკრავს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ორიგინალურობით გამოირჩევა კომპოზიციები: „მზე მომავლისა“, „მოქცევაი ქართლისაი“. საინტერესოდ გაუაზრებია მხატვარს „აღდგომა“. ჯვარზე გადაკიდულია ქრისტეს კვართი, თვით ჯვარი თითქოს შეუცნობელი სამყაროდან არის აღმოცენებული, აღდგომა თვით მზეა, რომლის ფონზეც ჯვარია გამოსახული. წინა პლანზე ბატკანი და პასკაა.

მხატვრის ნამუშევრების გაცნობისას უეჭველად შენიშნავთ, რომ ბევრ ნახატში გზა, ბილიკი მეტაფორად არის გამოყენებული. ამით ახერხებს ხელოვანი დღევანდელ დღესთან დაკავშირებას, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროთა გაერთიანებას, რითაც სურათი ემოციური და ღრმააზროვანი ხდება.

„როცა პეიზაჟს ნატურიდან ვხატავ, იქ ბილიკი შეიძლება არც არის, მაგრამ მე მაინც ვხატავ, ბევრი კომპოზიცია ძილ-ღვიძილში მომჩვენებია“.

მხატვარი ხშირად მიმართავს წარმართული დროის სიმბოლოებსაც.

„ყველაფერი პირველქმნილი მიყვარს“, — ამბობს ხელოვანი და თავადვე მახსენებს გრიგოლ რობაქიძის სტრიქონებს:

„თუ ახალდაწყებული პირველი საწყისის ერთგული არ დარჩა, მაშინ მთელი მისი შემოქმედება თვითნებობას დაემორჩილება, რაც უკეთეს შემთხვევაში მანერიულობას, მაგრამ არა ბუნებრივ სტილს წარმოშობს. ნეტარ არს ის, ვისაც შეუძლია საწყისისა და პირველწყაროს შორის ჰარმონიის შენარჩუნება და ვაი მას, ვისაც არ შეუძლია, ის ბოლოსდაბოლოს განადგურდება“.

ამ ესთეტიკური მრწამსის ერთგულია მხატვარი ჯემალ ხუციშვილი მთელი თავისი შემოქმედებით. ამაში დარწმუნდებით, თუ ერთხელ კიდევ გადაავლებთ თვალს მის ქმნილებებს. მხატვრის ნამუშევრები შესულია უცხოეთის სხვადასხვა კატალოგებში, დაცულია მუზეუმში, კერძო კოლექციებში, ხოლო თელავში, ქეთევან იაშვილის სახელობის სახელმწიფო გალერეის ერთ-ერთ დარბაზში მისი ნამუშევრების მუდმივი ექსპოზიციაა. შაბათ-კვირას ერთდროულად ზეიმობს მხატვარი თავის დაბადების დღესაც და აღდგომასაც. ვულოცავთ 60 წლის ხელოვანს ღირსსახსოვარ თარიღს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## კინო

# ლუკას სახარება შენი გახარებაა!

„ერთხელ, ბავშვობისას, სიზმარში, ხალხი სადღაც გარბოდა, მე კი გაუნძრევლად ვიდექი, თეთრწვერა მოხუცმა მხარზე ხელი დამადო და, შენც წადიო, მითხრა. დღესაც იმ ხელის ძალით მოვდივარ“, — გამანდო ერთხელ გოდერძი ჩოხელმა.

ეს მაშინ იყო, „სამოთხის გვრიტების“ დიდი წარმატების შემდეგ რომ ვთხოვე ინტერვიუ.

ახლა კი, როცა „ლუკას სახარებაც“ ვნახე, გოდერძისთვის აღარაფერი მიკითხავს, რადგან ისიც სხვა დანარჩენ მაყურებელთან ერთად დარბაზში იჯდა და, როგორც ყველას, თვალზე უწყვეტ ნაკადად ჩამოსდიოდა ცრემლი.

არ ვიცი, რისი ძალით მოდის გოდერძი ჩოხელი და რა აკეთებინებს ნიჭიერ კაცს საქმეს ქვეყანაში, სადაც ერთი ფილმისათვის განკუთვნილი მცირეოდენი თანხით ორის გადაღება უნდა შეგეძლოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მას რაღაც არამიწიერი მუხტი ნამდვილად აქვს, რომელიც იმდენად ძლიერია და ყოვლისმომცველი, რომ ყველაფერს, რაც ამ კაცის ხელიდან გამოდის, განსაკუთრებულად საოცარ და თანაც ადამიანურ დაღს ასვამს.

გოდერძი ჩოხელი დიდებულია თავისი უბრალოებით.

მისი ტკივილი კი საკაცობრიოა და მასშტაბური, ვფიქრობ, იმიტომ, რომ მთაა ამ კაცის შთაგონების წყარო.

მთა — სამყაროს მიკრომოდელი, სადაც ყველაფერი ერთ პატარა და თანაც დიდ სივრცეშია მოქცეული:

ეკლესიაც, სასაფლაოც, ყოველდღიურობაც, მარადიულობაც...

ხოლო საზღვარი ცასა და დედამიწას შორის აქ ძალიან მაღალია და თანაც, თითქმის ხელშესახები.

მართალი გითხრათ, როცა კინომცოდნე ნანა თუთბერიძე დაგვპირდა სწორედ სააღდგომო ფილმის ჩვენებას, ვიფიქრე, რომ გოდერძი ჩოხელმა ტრადიციას „უღალატა“ და მთის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტის ნაცვლად ლუკას სახარების კინოვარიანტი გადაიღო-მეთქი, მაგრამ...

— ლუკააა! — გაისმა და კადრში ისევ სოფლის პატარა სახლი გამოჩნდა. ბებომ არ იცის, რომ ობოლი ლუკა, რომელსაც მამამ ეს სახელი, თურმე, იმ იმედით დაარქვა, რომ კარგი კაცი გაიზრდებოდა, მიუხედავად ასაკის სიმცირისა, უკვე კარგი კაცია, რადგან სიდინჯითა და მოთმინებით უძლებს ცხოვრების სიმძიმესაც და სკოლის დესპოტი დირექტორის როზგებსაც, რომელიც იმიტომაც შეიძლება მოგხვდეს, რომ ფორმა არ გაცვია ან ჩანთაში ყველი და პური გიდევს.

სამოკლეო გზა კი, რომელსაც ლუკა სახლიდან სკოლამდე ყოველდღე გადის, სასაფლაოს გაელითაა, სადაც მას დედ-მამა „ელის“.

ორ კანფეტს მისცემს ვინმე მეზობელთაგანი ბიჭს — საფლავზე აწყობს.

მინდვრის ყვავილები ხომ რაღა სათქმელია!

დონ-კიხოტი და სანჩო უყვარს ლუკას.

ისე უყვარს, სოფელში მოსული საქონლის ვაჭრებიც ის საოცნებო სტუმრები ჰგონია, რომლებიც დირექტორის დიქტატს ბოლოს მოუღებენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, რეალობა სულ სხვაა და უფრო მძიმე, ვიდრე გვგონია ხოლმე.

და ვაჭრებსაც მისი ნიკორა მიჰყავთ...

კარგავს და კარგავს ლუკა იმას, რასაც იმედი და საყვარელი არსება ჰქვია და უმწეობის საშინელ შეგრძნებას ისიც, როგორც ყველა კაცთაგანი, ცრემლებამდე მიჰყავს.

მაგრამ მაინც, ისიც, როგორც დანარჩენნი, რაღას იზამს, მიჰყვება გზას. ძველი კიდობანი კი, თურმე ლუკასათვის საოცრებას ინახავს:

— აი, ამასა კითხულობდა ხშირად, შვილო მამაშენი, — ეტყვის ერთ დღეს ბიჭს ბებო და ძველთაძველ წიგნს გამოუჩენს, რომელსაც, ჰოი, საოცრებავ, და „ლუკას სახარება“ აწერია.

— ლუკას სახარება რა არი, ბებო?

— შენი გახარებაა, — ამბობს შაოსანი მთის ქალი, რომელსაც რაღაც ქვეცნობიერი კარნახობს, რა უნდა თქვას, თორემ ისიც არ იცის, რა წერია იმ წიგნში და რატომ არ შეიძლება პიონერმა წაიკითხოს.

დესპოტი დირექტორი კი, რომელიც სატანურ ძალას იქ იყენებს, სადაც გასდის, თავისი ბნელი მიკრო-აურის დარღვევას სახარებით, რომელიც ბავშვის ჩანთაში აღმოაჩინა, ბუნებრივია, არ დაუშვებს.

და ლუკაც ღირსეულად მიიღებს ოცდაათ როზგს ქრისტეს სიყვარულის სანაცვლოდ.

მერე კი ყველაფერი ისე მიდის, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ცხოვრებაში:

ჭირს ჭირი მოსდევს და რისხვას — რისხვა.

თუმცა, ჩვენთვის, ადამის ძეთათვის, თავდაპირველად თითქმის გაუცნობიერებელია ხოლმე, რისხვაა თუ ღვთის მადლი, რაც თავს დაგვატყდა.

ამის გაგება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა ყველაფერს სხვა თვალით შევხედავთ.

ზოგი კი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, ვერასოდეს ახერხებს სხვა თვალით დაინახოს, რაც გადახდა და რაც განგებისგან დაიმსახურა!

ამიტომ ბევრისათვის საცოდავი ბალღია ლუკა, რომელიც, როგორც „ქრისტეს მონას“ და სააღდგომო კვერცხების სკოლაში მიმტანს შეეფერებოდა, დირექტორმა ჯერ ჯვარზე გააკრა და „ქრისტე აღდგას“ ისტერიული ყვირილით ლონის წართმევამდე არბენინა სკოლის ეზოში, მერე კი, საერთოდაც გააგდო იქიდან.

ბრბოსათვის, რომელიც ბრბო რომ იყოს, თურმე სულაც არ არის საჭირო ასაკი, გაუცნობიერებელი დარჩა, რომ ლუკამ ტკივილისა და დამცირების ფასად თავისუფლება მიიღო, უნიფორმის მაგივრად — მამის სახსოვარივე ჯვრებიანი ჯუბა.

და კიდევ:

ურყევი ნება, რომ დაეძლია სატანური შიში და ბნელეთის მოციქული დირექტორის უწმინდური ბუნაგიდან დაეხსნა „ლუკას სახარება“!

ბებომ ვერაფერი გაიგო პატარას „ჯვარცმის“ შესახებ, რადგან, მიუხედავად დიდი მცდელობისა — ობოლისათვის არ ელალატნა, შვილსა და რძალს მიუვიდა სამუდამო სამყოფელში.

ხოლო ლუკა კი მარტო არ დატოვა უფალმა,

რადგან მოუვიდა... ნიკორა

და რადგან თავად ღმერთიც მოვიდა მასთან!

... სამოკლეო გზა აღარ მიემართებოდა ლუკასათვის სკოლისაკენ, რომელსაც უწმინდური ჰყავდა პატრონად.

სხვა ყველა დანარჩენი ისევ ისე იყო:

საფლავებიც,

ეკლესიაც,

ყვავილებიც

და მთებიც, რომლებიც სივრცეებში ხაზავენ ცასა და მიწას შორის საზღვრის უკიდეგანო კონტურებს და მთის პატარა სოფელს, როგორც სამყაროს მიკრომოდელს, უდგანან დარაჯად.

და კიდევ ერთი:

არ შეიძლება ვთქვათ, რომ ლუკა ჩოხელმა საოცრად კარგად ითამაშა ლუკა, რადგან კი არ ითამაშა, მან საკუთარ არსებაში გაატარა და ბავშვის უმანკო, არაბუტაფორიული ცრემლების ენით გვიამბო, რომ ლუკას სახარება მისი გახარებაცაა.

და ყველა ქრისტიანისაც,

ვინაც დღეს სანთელი აანთო და „ქრისტე აღდგა“ უთხრა მოკეთეს.

როგორიც თავადაა, ისეთივე საოცრად სხვანაირი შვილი ჰყავს გოდერძი ჩოხელს.

ლუკა ჩოხელი!

თუმცა რა,

აკი, გითხარით, ამ კაცს, ეტყობა, რაღაცა მადლი სცხია ისეთი...



კადრი ფილმიდან „ლუკას სახარება“

**ელზა ჯმუხაძე.**

## პოეზია, უპირველეს ყოვლისა

# მედეა კახიძე



## სირცხვილი ყველას!

სირცხვილი ყველას, ვინც
სიმართლე აქცია ეჭვად,
ზეზეული ხის უღვთოდ მოჭრა
ეგულგრილება,
ვინც სიცრუის კევს უსირცხვილოდ
ღეჭავს და ღეჭავს
და კაცის მკვლელებს გვინათლავენ
ერთგულ გმირებად.
სირცხვილი ყველას, ვინც დაახლის
ტყვიას მგალობელს,
ვინც კაცმაცუნებს დაახარჯა
ტაში ურიცხვი,
ვინც საკუთარი სულის ხსნისთვის
აღარ დაობენ,
სულის მეოხად დაიყენეს ცრუ და უვიცი.
... ახურდავებენ საქართველოს
ფულის გულისთვის!

* * *

ტყუილს კვერს ვუკრავთ უხმოდ,
სიმართლის გზებზე ვკოჭლობთ.
მაინც მეგობარს ვუხმობთ,
ვადუღებთ რწმენის კოჭობს.
დრო წვიმას ქარში ურევს,
ბორგავს მორევი დიდი,
წინა კაცია თურმე
უკანა კაცის ხიდი.
ადამიანი მგელი,
ადამიანი კრავი,
ზოგჯერ სიბნელის მგვრელი,
ზოგჯერ სინათლე კვარის.
მაინც ჭრის ეკალ-მეშვებს
კაცი ყველაფრის შემძლე,
ადამიანი შვებას
ადამიანში ეძებს.

* * *

მე, ვინც მეწვია ოჯახში სტუმრად,
კაცი მეგონა მგელიც და ტურაც.
ვინც გამიცინა, ყველა კაცს ვენდე,
მაგრამ ვერაფრით ვისწავლე დღემდე,
რომ ყურები აქვს თურმე კედლებსაც,
თუკი სიმართლის სიტყვას შებედავ.
მე ვატრიალებ ქარის წისქვილებს,
თუმც ვხედავ, ხალხი როგორ
ქირქილებს,
რადგან ბევრს ვჯობდი ზეცით თუ
ღრეთი,
მყავდა ყოველთვის მე ჩემი ღმერთი.
ყველას ვკერმავდი მთელი წლის
სარჩოს,
გულში ვიკრავდი წამსვლელს და
დამრჩომს.
მათთან გულღიად ვუვლიდი ფერხულს,
და თუ მგლებისგან მიპოვით შეხრულს,
იცოდეთ, ჩემმა მოყვრებმა დამხრეს,

რომლებიც სხვაზეც იხმარენ ამ ხერხს...
და თუ ბრმად ვანდობ გულის
გასაღებს,
ვინც თავს ჩემს ერთგულ კაცად
ასაღებს,
— სინამდვილეში მაიმახია.
არ შემიცოდოთ, ჩემზე ახია!
რადგან ჩემს სახლში ვიწვევდი სტუმრად
გამვლელ-გამომვლელ მგელსა და
ტურას!

## თუ

თუ ჩემს ოჯახში
სტუმრის ფეხის ხმა მიწუდა,
მიჯობს საფლავში ვიწვე, —
ვეარო მიწად.
ჩემთვის დის ცრემლი
თუა უბრალო წყალი,
მაშინ უფალი
ჩემზე ყოფილა მწყრალი.
თუ დიდ გვალვაში
წყაროს არ ჩავთვლი მხსნელად,
წყალობად არ ვთვლი
მხრებზე ნიავის ხვევნას,
ხეში, ფოთოლში
თუ მე შენს ჩურჩულს
არ ვცნობ,
ხსოვნა გულისა,
თუ გავაყოლე ღვარცოფს,
თუ ჩემს ხსოვნაში
შენი ფეხის ხმა მიწუდა,
მიჯობს, საფლავში ვიწვე,
მეხუროს მიწა!

## მე არ მითქვამს

ვერ დავიკვეხნი გუშინდელით,
ალბათ ვერც ხვალით,
ტყვილად მოვფრინდი —
თურმე გაღმიდან,
ვისაც ელოდნენ, არ ვიყავი,
მე ის მერცხალი,
და შორი გზების გადმოლახვა
თურმე არც ღირდა.
რადგან საფრენად არ შემიწყო
ხელი ამინდმა,
და ფრთებს გასაფრენს დაბლა მივათრევ,
რისი თქმაც მსურდა, შეიძლება მე
ის არ მითქვამს.
მაგრამ ის, რაც ვთქვი, იყო სიმართლე.
მე, შეიძლება, სწორედ იქ ვერ
ჩავუშვი ღუზა,
რომელ ნაპირზეც მომელოდა ალბათ
საბედო,
ქედდადრეკილი მლივს მივათრევ
იმედებს უზღვავს,
და ანკესს ვისვრი საალალბედოდ.
რაც უნდა მეთქვა, შეიძლება, მე ის
ვერა ვთქვი,
მაგრამ ის, რაც ვთქვი, იყო საჭირო,
რადგან ვერავინ მაიძულებს, ვიცი,
ვერაფრით,
რომ ჩემთვის ვინმემ საჯამბაზო
თოკი გაჭიმოს,
ვერ გავიხარებ, რასაც ვნატრობ იმ
დღის მოლოდინით,
ბზის ფოთლებივით ერთმანეთს ჰგავს
ეს თვე წინა თვეს,
მე არ მითქვია, არასოდეს სიტყვა
ფოლორცი,
მაგრამ, ის, რაც ვთქვი, იყო სიმართლე.

* * *

ვერ ავუწყე ფეხი
ყალბი ტაშის ტკრციალს,
ელდით გადამეხილ
წუთის მორევ-ტრიალს.
აღარც თეთრი მტრედი
ჩემი სახლის მდგმური,
ირგვლივ მხოლოდ მტრები,
ნაბიჯები მგლური.
თუმც დრო მცემდა ყიჟინს,
არ ავყევი მის ქინს,
და წლებს უთავქამოს
ჰქონდა ქცევა გიჟის.
მეგობარი გზა-გზა
უგზოდ დამექსაქსა,
ენას ათქმევინა,
რაც არ ჰქონდათ აზრად.
მქონდა გზები მოკლე,
გული ველურ კვიცის,
და სიცოცხლე ვლოკე,
როგორც მარილ-კვნიწი.
ვერ ავუწყე ფეხი
ყალბი ტაშის ტკრციალს,
და ჭრილობა შეხსნილს
გულის ფესვი მტკივა.

## განშორება

ცა გულიდან იწყვეტს ვარსკვლავს,
როგორც ოქროს ღილს,
განშორების მომსწრე ვარ კვლავ
და სიცოცხლე, ვიცი, აღარ ღირს.
როგორც ტყეში დაკარგული ხარი
შვინდა,
ვეღარ ვიღებ გეზს,
ზეცასავით პირშეკრული შევუშვილდი
სასაფლაოს სათავცემო გზებს.
ჩამქრალია მწკრივი არყის,
ცა ვერ მფუთნის მზით,
აღარც გზები ჩემი სახლის,
ფანჯარასთან აღარც დედა ზის.
ზედ დაკვდომით დედის ნივთებს
დავფოფინებ,
როგორც ოქროს ზოდს;
დედის კაბას სხვისა ტანზე ჩაცმულს
ვითმენ,
არაფრად რომ ედარდება ზოგს.
ლამის თავს ვერ მოვერიო,
ჯავრის ჭია მხრავს,
გულგარეშე, როცა ქალი რომელიმე,
მეკითხება მოხუც დედის ხანს.
ასეთია რადგან მწარე გაკვეთილი
ვერ გადუვალთ ღვთისგან ნაკურთხ წესს,
ჩემი დედა გულზე ხელებდაკრეფილი,
ცივ მიწაში ჩაფეხვილი წევს.

## ერთნი ვართ

რა გვაქვს სამტრო და საკამათო,
სად გვაქვს გასაყოფი ზვრები და
ტბები,
როდემდე ვუგოთ ერთმანეთს კაკანათი,
როდემდე ვიყოთ ძმები ძმის მტრები.
ერთი მზე გვათბობს, ერთი მზე
დაგვცქერის,
იმ ერთი წინაპრის ნაკვალევს ვკოცნით,
ერთი გვაქვს ჭალა, მამული ნაცრემლი,
ერთნი ვართ სისხლით და ხორცით.
ნუ გავხდით ჩვენს ამბავს საიგავოდ,
ნუ დავაპურებთ უძღებს,
მმამ მმა ბეწვის ხიდზე გავიყვანოთ,
ვამრავლოთ ჭერი და ფუძე.
ვახაროთ აჭრილი ნერგები თვითონვე,
რაც მტრობით მოცელეს, მოწყვეს,
თორემ, თვით გავხდებით, იცოდეთ,
ჩვენივე დაღუპვის გარეშე მოწმე.
თორემ ხელი ერთპირ განქარდება,
რაც წლობით მამებმა დუღაბით შეკრეს,
თავზე დაგვატყდება ანათემა,
ზსვა მიუპატრონებს ნეკრესს.
აღარ ეყოლება გამკითხველი
მტრობას, შურს, ღალატს და შფოთვას,
აღარ ეყოლება წამოთხველი
ილიას, ვაჟას, შოთას.
ნუ გავხდით ჩვენს ამბავს საიგავოდ,
მმამ მმა ბეწვის ხიდზე გავიყვანოთ!

## არის თუ არა

შემთხვევით ცაზე ჩავლილი ნისლი
შენი უსაზღვრო მწუხარების,
შეიძლება, გახდეს საბაბი,
ნისლს შეუძლია თავი
უცებ გამოიმეტოს,
შემოიყაროს ფუქეაშლილ
წვიმების ჯარი,
შემოუყეფოს გულგოროზად
არე-მიდამოს!
მირეგვ-მორეგვოს ვარდ-ბალახი
ნასათუთარი,
ხოშკაკალების თავში ცემით
ჩაკლას ვარდნარი,
წყალს გაატანოს კაცის ხელით
ნაცოდვილარი.

შემთხვევით უცებ მოვარდნილმა
კოკისპირულმა,
არის შესაძლო, ჩემს გზა-სავალს
უცვალოს გეზი,
წვიმა მოედოს გზა-ბილიკებს
წყალვარდნილებად,
და დათქმისამებრ ვერ მოვიდე
შენს შესახვედრად,
ყინულის წყალი გადაესხას
გულაჩქროლებას,
ჩაშალოს ჩვენი პაემანი ნანისნანატრი,
ის პაემანი,
მე რომ ასე მეძვირფასება.

შემთხვევით უცებ დაცდენილი
როყიო სიტყვა,
რაგინდ ორივემ გამოვლიოთ
ალერსში სული,
ჩვენი უცილო დაცილების,
შეიძლება, გახდეს საბაბი.
და გულჩაწყვეტილს დამიტოვოს
გულზე ტკივილად
ტირილიანი წვიმის სველი ნაფეხურები,
უეცრად ცაზე ჩამომეხოს ჭერი მაღალი
და სადღაც მისგან დაუტირებს
აღმომხდეს სული!

მაგრამ არ ვიცი! ვინ მომცემს პასუხს,
ჩემი ვარსკვლავი! რასაც ბედის
ვარსკვლავი ჰქვია,
არის თუ არა გაჩენილი ცაზე
შემთხვევით!

## ზეციერო, შემასწარი იმ დროს

აქ დავრჩები, ვიცი, ხვალაც, ზეგაც,
გაიხედავ - სხვისი ცა და ზეცა,
თვალს ვარიდებ ამწვანებულ ზეგანს,
ცა მაღლაა, მაინც მკერდით მსრესავს.
ღამეები მითენებენ თეთრად,
სამზეოდან მზე მიღიმის ცალუბად,
თვალდაღრუბლულს უმილობა
მთენთავს
და ნაცნობი მზეწვიაც კი არ მყავს.
მაშვის სტვენას მოწიწებით ვუსმენ,
თუმც უცხოა ჩემთვის მაშვის ენა!
უცხო მიწას არ ვაკარებ ქუსლებს,
გულში რომ არ ჩაიხვიოს წყენა.
ფეხისგულებს მიწვავს მიწა სხვისი,
სხვის ხე-ბალახს მორიდებით ვუმზერ,
სიზმრად ვხედავ სამლოცველოს ხირსის
და მშველელად დარდს ვიკიდებ ზურგზე,
მესიზმრება, როგორ ხარბად ფარცხავს,
ჩემს მიწა-წყალს უცხო მიწის მკვიდრი,
სადაც ედგა მამა-პაპას ფაცხა,
სადაც მხოლოდ ჩვენ ვთესდით და
ვმკიდით.
ზეციერო! შემასწარი იმ დროს,
ჩვენშიც უცხომ, თავი სტუმრად
იგრძნოს!

საქართველოს რესპუბლიკა
№93. კვირა, 19 აპრილი, 1998 წელი.

კულტურა

# ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან

## წერილი მეორე

მაშ, ასე! რითი იწყება ახალი (წინა წერილში შევთანხმდით ამ სიტყვის აუცილებლობაზე) ქართული პროფესიული მუსიკა?

თუ არ შევჩერდებით მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის ადრინდელ დილეტანტურ ცდებზე, ასეთად მელიტონ ბალანჩივაძის რომანსები (1888) და ოპერა „თამარ ცბიერის“ ნაწყვეტები (1897) წარმოგვიდგება. ეს თარიღები, ისევე როგორც ოპერის პირველი მოქმედების პეტერბურგში დადგმის წელი (1912), სამუდამოდ შევიდა ქართული მუსიკალური ხელოვნების მატიანეში. ისტორია ხომ განსაკუთრებით აფასებს პირველებს!

მ. ბალანჩივაძის რომანსები და „თამარ ცბიერი“ (მოგვიანებით „დარეჯან ცბიერად“ წოდებული) დასაბამს აძლევენ ქართული მუსიკის ამ ორი ძალზე მნიშვნელოვანი ჟანრის განვითარებას.

სამართლიანია, რომ „თამარ ცბიერს“ პირველ ქართულ ოპერას უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა პრემიერამ თითქმის 30 წლით დაიგვიანა (გაიმართა 1926 წ.), რამდენადაც ოპერის მთავარი, საკვანძო მუსიკალური ნომრები უკვე საუკუნეთა შესაყარზე იყო ცნობილი (სცენაზე დადგმულ პირველ ოპერად კი რ. გოგნიაშვილის „ქრისტინე“ გვევლინება. 1918 წ.).

ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეიქმნა ნაწარმოებები — დიმიტრი არაყიშვილის რომანსები, ნიკო სულხანიშვილის გუნდები, — რომლებიც ეროვნული მუსიკალური კლასიკის პირველ ნიმუშებად არის აღიარებული.



„აბესალომის“ პრემიერის შემდეგ.

დ. არაყიშვილის რომანსები დღემდე ამშვენებენ ჩვენი მომღერლების რეპერტუარს, ქართველმა ხალხმა ისინი, შეიძლება ითქვას, შეიყვარა სამუდამოდ. კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა უნიჭიერესი კომპოზიტორ-ავტოდიდაქტის ნ. სულხანიშვილის რაოდენობრივად მცირე, მაგრამ მხატვრულად არაჩვეულებრივად ფასეული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. მისი დიდებული „მესტვირული“. „გუთნური“, ცხოვრების დასავალზე დაწერილი „ღმერთო, ღმერთო“ (1919), ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ გენიალურ გუნდებთან ერთად, მთელი შემდეგდროინდელი ქართული საგუნდო მუსიკის მკვიდრ საფუძვლად იქცა.

დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ისტორიულ პრემიერამდე (1919) ქართული საზოგადოებრიობა გაეცნო ოპერის მნიშვნელოვან ნაწყვეტებს (პირველად 1913 წ.) და მოუთმენლად ელოდა მის განსახიერებას სცენაზე.

აი, ასეთი აქტივით მოვიდა საბედისწერო 1917 წლისათვის ქართული მუსიკა, მაგრამ „სოციალიზმის ჯაგერნაუთის ეტლში“ იძულებით შებმამდე საქართველოს დარჩენილი ჰქონდა კიდევ სამიოდე ნაოცნებარი წელი — დიდხანს ნანატრი დამოუკიდებლობის ხანა და სწორედ ამ მოკლე ისტორიულ მონაკვეთში ქართულმა მუსიკამ, მართლაც რომ, ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა! 1919 — ყველაზე საოცარი, ჭეშმარიტად „ოქროს“ წელია ქართული მუსიკის ისტორიაში: ერთიმეორეზე მიყოლებით სცენაზე დაიდგა სამი კლასიკურად აღიარებული ქართული ოპერა: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, რომელთა შორის ბოლო ორი — ნებისმიერ წარმოსახვით მსოფლიო კონკურსზე შეიძლება გავიტანოთ და არ შევრცხვეთ. მაინც, „აბესალომ და ეთერის“ მნიშვნელობა და „კუთრი წონა“ ქართულ მუსიკაში სრულიად განსაკუთრებულია. ვფიქრობ, რომ სვეტიცხოვლისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი ეპოქის ქართულ კულტურაში აღარ შექმნილა ასეთი რანგის ნაწარმოები. წმინდა მუსიკალური, ზოგადმხატვრული, ეთიკური და დრამატურგიული საწყისების არაჩვეულებრივი მთლიანობით, ჰარმონიული შერწყმით „აბესალომ და ეთერი“ მსოფლიო მუსიკის უდიდეს შედევრთა დონეზე დგას.

პროფ. ლ. დონაძის მოხდენილი თქმით „აბესალომის“ მუსიკაში გამოიხატა ქართველი ხალხის შემოქმედი გენიაც და მისი საუკუნოვანი სევდაც. დღეს კი ჩვენ მას აღვიქვამთ, როგორც ჩვენი ერის უკვდავებისა და მარადიულობის სიმბოლოსაც.

1919 წლის 21 თებერვალი — „აბესალომ და ეთერის“ პრემიერის დღე სამუდამოდ დარჩა უბრწყინვალეს თარიღად ქართული მუსიკის ისტორიაში. ამის შემდეგ „აბესალომმა“ იხილა საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საოპერო თეატრების სცენა და შეიძლება ითქვას, რომ მისი გზა უკვდავებისაკენ დღესაც გრძელდება. მომავალში უეჭველია, მას კიდევ მეტი და უფრო ფართო დაფასება ელის.

რაც შეეხება „აბესალომის“ მნიშვნელობას ქართული მუსიკის შემდგომ ისტორიაში, აქ მისი როლი პირდაპირ უნიკალურია. მან იმპულსი მისცა არა მარტო საოპერო, არამედ ვოკალურ-სიმფონიური, ორატორიული, საგუნდო და თვით სიმფონიური მუსიკის ჟანრების განვითარებას ჩვენში.

ოთხი წლის შემდეგ მას მოჰყვა ზ. ფალიაშვილის ახალი შედევრი — ოპერა „დაისი“ — საერთაშორისო რანგის კიდევ ერთი ნაწარმოები, თავისი უჭკნობი მარადსულდგმული მუსიკით, რომელიც „აბესალომის“ მსგავსად, ქართველი ხალხის მუდმივ უსაყვარლეს თანამგზავრად იქცა და დიდ მოწონებას იმსახურებს ყველგან, სადაც კი იგი ოდესმე დადგმულა — ჩვენში თუ უცხოეთში.

ვგონებ, არც ერთ ქართულ ოპერას არ ჰქონია ისეთი ბედნიერი სცენური სიცოცხლე, როგორც ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“. დიდ ადგილს დაიჭერდა ყველა იმ თეატრის ჩამოთვლა, რომელთა სცენაზეც დაიდგა იგი მისი პრემიერის (1919 წ. 11 დეკემბერი) შემდეგ.

მკაფიო კომედიური სიუჟეტი (ა. ცაგარლის „ხანუმას“ მიხედვით), სატირული სიმახვილე და სახოვნება, მოქმედების განვითარების თავბრუდამხვევი ტემპი, მსუბუქი მელოდიური მუსიკა განსაზღვრავს ვ. დოლიძის ოპერის წარმატებას. იგი ჩვენი საოპერო სცენის მშვენებაა.

1925 წელს დასტამბულ ნარკვევში „ქართული მუსიკა“, დ. არაყიშვილი სავსებით გამართლებული გულდაჯერებულობით წერდა: „საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენ გამოვედით ჰორიზონტზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქიდან უკვე აღარ ჩავალთო“.

როგორც ეხედავთ, თანამედროვეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ზემოხსენებული პრემიერების ისტორიული მნიშვნელობა. და კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი: 1917 წლის 1 მაისს დაარსდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, რომელიც უხნესია ამიერკავკასიის უმაღლეს სასწავლებელთა შორის;

მაგრამ ოთხი წლის შემდეგ (1921) ჩვენმა დედინაცვალმა — ისტორიამ ხელახლა შემოატრიალა თავისი ავბედითი ჩარხი...

1921 წლის თებერვალში ქართველი ხალხისათვის „კვლავ შეფერხდა ისტორია“. წითელი რუსეთის მიერ ანექსირებული საქართველო იქცა მანამდე არნახული უნიტარული ტოტალიტარული იმპერიის ნაწილად და მრავალი ათეული წლის მანძილზე მისი განვითარების ვექტორებს, იძულებით, უცხო უხეში ძალა წარმართავდა და არეგულირებდა.

აქ ჩვენ მივადექით არა მარტო მუსიკისმცოდნეობის, არამედ მთლიანად ქართული (და არა მარტო ქართული) კულტუროლოგიის ყველაზე კარდინალურ საკითხს: რა ისტორიული შედეგები მოჰყვა ჩვენი კულტურისა და კერძოდ, მუსიკალური ხელოვნების თითქმის 70-წლიან ყოფნას და „ხარშვას“ იმ გიგანტურ ფანტასტიკურ „საქვაბეში“, რომელსაც საბჭოთა კულტურა და ხელოვნება ეწოდებოდა?

ათეული წლების მანძილზე აქ პასუხი კატეგორიული და აბსოლუტურად ერთმნიშვნელიანი იყო: — „კეთილნაყოფიერი, ცხოველმყოფელი, სიცოცხლისდამამკვიდრებელი“ და ა.შ. მაგრამ სულ ათიოდე წლის წინათ და შემდეგაც — გაიგონებდით დიამეტრულად საწინააღმდეგო, ხელაღებით ნიჰილისტურ, ყველაფრის უარისმყოფელ შეფასებებსაც. რომელი მათგანია სწორი და სამართლიანი?

როგორც ეს, ჩვეულებრივ, პოლარულად განსხვავებული თვალსაზრისებისთვის არის დამახასიათებელი, არც ერთი მათგანი არაა ბოლომდე სწორი და მისაღები და სიმართლე, სადღაც მათ შორისაა მოთავსებული.

შევეცადოთ გავერკვიოთ ორივე ამ მოსაზრების „პრო ე კონტრა“-ში.

თავდაპირველად — პოზიტიური მომენტების შესახებ: ასეთად, უპირველესად გვესახება ის, რომ ხელოვნება (ე.ი. მუსიკაც) სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ გამოცხადდა, დაწესდა მასზე სახელმწიფო მეურვეობა, გაიზარდა მისი საზოგადოებრივი როლი. მუსიკალური სასწავლო დაწესებულებებისა და საშემსრულებლო კოლექტივების ქსელის საგრძნობმა გაფართოებამ უკვე 20-იან წლებში გამოიღო თავისი ნაყოფი.

უდავოდ სასარგებლო იყო საბჭოთა კავშირის „მოძმე რესპუბლიკების“ — უპირველესად, რუსეთის მუსიკალურ კულტურასა და მის წარმომადგენლებთან შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავება. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქართული მუსიკალური კულტურის არეალის გავრცობას, შემოქმედებითი პროცესის ინტენსიფიკაციას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან კარგადაა ცნობილი ისიც, თუ როგორი იყო „მედლის მეორე მხარე“!

მრავალმილიონიანი საზოგადოების არნახულმა სოციალურმა ვივისექციამ, რომელმაც თავისი შემაძრწუნებელი რეალობით ორუელისეული ანტისამყაროს კოშმარულ ფანტასმაგორიებს გადააჭარბა, გამოიწვია საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დეფორმაცია, ჩვეული ეკონომიკური სტრუქტურების ძირფესვიანი მსხვრევა, რამაც საბოლოო ანგარიშით ურიცხვი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ძნელია ჩამოითვალოს ყველა ის ბედუკუღმართობა, რომელიც თავს დაატყდა „საბჭოთა ხალხს“ მისი ფიზიკური და სულიერი არსობის ყველა განზომილებით. გამონაკლისს არც მუსიკალური ხელოვნება შეადგენდა. „პროლეტკულტისა“ და ე.წ. რაპმ-ის („პროლეტარულ მუსიკოსთა რევოლუციური ასოციაცია“) თარეშმა უკვე 20-იან წლებში უდიდესი ზიანი მიაყენა მთელ საბჭოთა მუსიკას, ხანგრძლივი დროით ჩამოაშორა იგი წარსულის უმდიდრეს კლასიკურ ტრადიციას. ნამდვილი რბევა განიცადა მუსიკამ 30-იანი წლების მეორე ნახევარშიც და 40-50-იანი წლების მიჯნაზე, რამაც გამოიწვია მისი მოწყვეტა და გაუცხოება მსოფლიო მუსიკალურ-შემოქმედებითი პროცესისაგან — 60-იან წლებამდე. უნდა ითქვას, რომ არც მომდევნო ათწლეულები იყო უღრუბლო და იავარდით ფენილი (ამის შესახებ — მომდევნო წერილებში).

ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ იქნებოდა მართებული, თუ აქედან ცალმხრივ ერთმნიშვნელიან დასკვნებს გავაკეთებდით. დრამატიზმითა და, ხშირად, ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება ხომ, ყოველივეს მიუხედავად, მაინც წინ მიდიოდა, ისევე, როგორც — ხელოვნებაც, მათ შორის, მუსიკა. ეს იყო წინსწრაფი სვლა, აღმავალი მოძრაობა. ასე, მაგალითად, ომამდელმა საკავშირო დეკადებმა მოსკოვში, რომლებიც რეტროსპექციულად აღიქმებიან, ლამის, როგორც „ლხინი ჭირის დროს“, უდავოდ დადებითი, სტიმულის მიმცემი როლი შეასრულეს ეროვნული კულტურებისათვის.

შეუძლებელია ობიექტური სურათის შექმნა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, თუ მას მხოლოდ ვარდისფერი, ან პირიქით, მხოლოდ შავი სათვალით ვუცქერით. ხელაღებით უარყოფა ყოველივე იმისა, რაც ამ პერიოდშია შექმნილი, ისტორიულად ისეთივე უპერსპექტივო და უნაყოფო იქნებოდა, როგორც „სოციალისტური რეალიზმის“ პოსტულატები, ათეული წლების მანძილზე რომ თავში გვტენიდნენ.

უცილობელი რეალობაა ის, რომ საბჭოთა ხანაში მუსიკალურ ხელოვნებაში (მათ შორის ქართულში) შეიქმნა გარდუვალი ღირებულების მხატვრული ფასეულობანი, დაგროვდა უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა.

ტოტალური რეჟიმის არტახებიდან მუსიკა ლიტერატურასთან შედარებით მაინც უფრო მცირე დანაკარგებით გამოვიდა და მუსიკოსებიც გაცილებით ნაკლებად დაზარალდნენ, რაც, ცხადია იმით აიხსნება, რომ მუსიკა (განსაკუთრებით ინსტრუმენტული, უტექსტო ჟანრები) როგორც ხელოვნების ყველაზე ნაკლებად იდეოლოგიზირებული დარგი, უფრო დაცული იყო რეჟიმის მსახვრალი შემოტევებისაგან.

მოვიგონოთ, რომ თვით 1948 წლის ყბადაღებულმა დადგენილებამაც კი, რომელმაც დიდი ხნით უკან დასწია საბჭოთა მუსიკის განვითარება, მაინც ვერ შეუშალა ხელი ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩისა და სხვათა შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას.

ყოველივე ზემოთქმული ეხება ქართულ მუსიკასაც, თუმცა, გასაგებია, რომ არა იმ მასშტაბებითა და სავალალო შედეგებით, როგორც რუსულ მუსიკას. მაგრამ მაინც...

20-იანი წლების ბოლოს „რაპმელებმა“ (გვყავდნენ ასეთებიც!) იერიში მიიტანეს ჩვენ კლასიკურ მემკვიდრეობაზე. მერედა ვისზე?— ვ. დოლიძეზე, დ. არაყიშვილზე და განსაკუთრებით კი, ზ. ფალიაშვილზე და მის ოპერებზე. ბრალდებები ჭკუისშემძვრელი იყო: „თავადურ-ფეოდალური ფსიქოლოგია“, „შოვინიზმი“, „ნოსტალგია წარსულზე“ და ა.შ. (მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის სავალალო ბედი იმავე წლებში. თითქმის ზუსტი ანალოგიაა!)

საბედნიეროდ, არავითარი „ორგდასკვნები“ არ გაკეთებულა. სიტყვამ მოიტანა და მინდა გავიხსენო კიდევ ერთი, — არცთუ ძალიან დიდი ხნისა, გამოხდომა ფალიაშვილის წინააღმდეგ: ერთი ცნობილი თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის განცხადება, რომ თურმე „ფალიაშვილმა 50 წლით უკან დასწია ქართული მუსიკის განვითარება“ (?!). მოტივი? „ფალიაშვილის „აბესალომი“ არაა დაწერილი მისი გამოჩენილი თანამედროვეების — რიჰარდ შტრაუსისა თუ ალბან ბერგის ოპერების მუსიკალური ენითა და საკომპოზიტორო ტექნიკითო!“ არ ვიცი, საჭიროა თუ არა, აქ ვრცელი კომენტარი? „აბესალომ და ეთერს“ (ისევე როგორც ყველა კლასიკურ გენიალურ ქმნილებას), უკვდავება უწერია საუკუნეებში და აბა, მიბრძანეთ, რა პრინციპული მნიშვნელობა ექნება მაშინ იმას, თუ სახელდობრ, როგორი მუსიკალური ენითა ან ტექნიკით იყო იგი თავის დროზე დაწერილი? მარადიული შემოქმედი ხომ მუდამ უფრო თანადროული და აქტუალურია, ვიდრე ყველა დროისა და ეპოქის მოკვდავი „თანამედროვენი“!

გულბათ ტორაძე.

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

## ქველმოქმედება

# თედიაშვილების ოჯახის მადლი

ამას წინათ დიდი ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი მოჭიდავის ლევან თედიაშვილის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით დაიბეჭდა და სამზეოზე გამოვიდა ბატონი ლევანის მეუღლის – ნანა მჭედლიშვილის წიგნი „ლევან თედიაშვილი – ფალავანი და მოქალაქე“.

ქალბატონი ნანა პროფესიით ექიმი-ოფთალმოლოგია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, არაერთი საქველმოქმედო საქმიანობის წამომწყები. საერთოდაც, თედიაშვილების ოჯახი განთქმულია თავისი მეცენატობით, თავად ლევანი ხომ 1992 წელს ოფიციალურად აღიარეს საქართველოს №1 მეცენატად. ქალბატონმა ნანამ ამჯერადაც გამოიჩინა გულისხმიერება და მისი ინიციატივით, წიგნისგან მიღებული შემოსავალი გაზეთ „ფალავნის“ გამოცემას მოხმარდება. თედიაშვილების ოჯახის მორიგი ქველმოქმედება იმითაც არის საგულისხმო, რომ მდიდარი ტრადიციებით განთქმულ საქართველოს მოჭიდავეებს დღემდე არ ჰქონიათ საკუთარი გაზეთი. შარშან გამოვიდა „ფალავნის“ პირველი და დღემდე ერთადერთი ნომერი. მისი გამოცემა კი საშური საქმეა. ურიგო არ იქნებოდა, თედიაშვილების ოჯახისათვის სხვებსაც მიებაძათ და გაზეთის რედაქციისთვის შემწეობა აღმოეჩინათ.

**სურათზე: ნანა მჭედლიშვილი ავტოგრაფს არიგებს.**



## კალათბურთი

# V-VIII ადგილები განაწილდა

როგორც ვიუწყებოდით, 28 აპრილს სპორტის სასახლეში დაიწყება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალისტების – „ვითასა“ და რუსთავის „აზოტის“, აგრეთვე, ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტების – თბილისის „დინამოსა“ და სდასუს დასკვნითი შეხვედრები. მათი დუელი სამ მოგებამდე გასტანს.

ამ დღეებში ვერის ბაღის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში დავა დაასრულეს მეხუთე-მერვე ადგილებისთვის მებრძოლმა კოლექტივებმა.

თსუ სტუდენტებმა ორივე მატჩი დამაჯერებლად მოუგეს ასპ ჭაბუკებს და ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავეს.

გაცილებით მძაფრად წარიმართა „მაკაბისა“ და „შევარდენის“ დაპირისპირება. ამ უკანასკნელმა მეორე თამაში მეორე დამატებით დროში 3 ქულით მოიგო და საერთო ანგარიში გაათანაბრა – 1:1. მესამე, დამატებითი შეხვედრის ბედიც ერთმა ქულამ გადაწყვიტა – მაკაბელმა ტალაბაძემ ბოლო წამზე გამარჯვება მოუტანა თანაგუნდელებს – 76-75 და მეშვიდე ადგილზე გაიყვანა.

სამწუხაროდ, ექსცესმა ამ მატჩსაც მიაყენა ჩრდილი. ამჯერად ემოციები „მაკაბის“ კაპიტანმა მიხეილ ხუხაშვილმა ვერ მოთოკა. იგი მსაჯის შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გააძევეს. აღარ უნდა დაესვას წერტილი ასეთ საქციელს?

## ძიუდო



14-17 მაისს ესპანეთის ქალაქ ოვიედოში გაიმართება ევროპის 1998 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში, რომლისთვისაც ინტენსიურად ემზადება საქართველოს ფალავანთა ნაკრები. გუნდის უფროს მწვრთნელს, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა ხაბარელს ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი.

# ოვიედოში მიმავალ გზაზე

## გვესაუბრება ნაკრების უფროსი მწვრთნელი

**– ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებას ჯერ კიდევ თებერვალში შევუდექით. რა სარგებლობა მოუტანა გუნდს საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლამ?**

– პარიზის „ა“ კატეგორიის გრან-პრის საერთაშორისო ტურნირში 59 ქვეყანა მონაწილეობდა. ეს სარეკორდო ციფრია და თავისი მასშტაბით იგი მსოფლიოს ჩემპიონატს უტოლდება. როგორც იცით, მზადების საუკეთესო საშუალებაა, რაც შეიძლება ბევრ შეჯიბრებაში გამოსვლა და დაშვებული შეცდომებიდან სწორი ანალიზის გაკეთება. შემდეგ აქვე გაიმართა 4-დღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, რომელიც ევროპის უძლიერესი ქვეყნების საუკეთესო ძიუდოისტებმა გაიარეს, მათ შორის ჩვენმა ფალავნებმაც. ოთხი დღის განმავლობაში თითოეული მოჭიდავე 30-40 სპარინგ-პარტნიორს შეხვდა, რაც ძალიან კარგია სპორტული ფორმის აღსადგენად. ასეთივე საწვრთნელი ციკლი გავიარეთ გერმანიისა და ავსტრიის „ა“ კატეგორიების ტურნირების დამთავრების შემდეგ. ახლა ჩვენი ეროვნული ნაკრები ბაკურიანში დასრულებული ორკვირიანი შეკრების შემდეგ, სადაც ძირითად ყურადღებას საერთო-ფიზიკურ ვარჯიშებზე ვამახვილებდით, მინსკში, „სტაიკებში“ მიემგზავრება. აქ თავს მოიყრიან დსთ ქვეყნების უძლიერესი ფალავნები, აგრეთვე ბალტიისპირა ქვეყნების მოჭიდავეები. იქაც, ბელორუსიაში საწვრთნელ ვარჯიშებში მივიღებთ მონაწილეობას, 22 აპრილს თბილისში დავბრუნდებით და ესპანეთის ევროპული ჩემპიონატის წინ ბოლო ორკვირიან შეკრებას ჩვენს ძიუდოს სასახლეში გავივლით.

**– მერე, გაქვთ ნაყოფიერი მზადების პირობები?**

– თბილისის ძიუდოს სასახლეში 2 ჩინებული ტატამია. სისტემატიურად მუშაობს საუნა, კვების ბლოკი, სასტუმრო 50 ფალავანზე. სამხაპეში მუდამ არის ცხელი წყალი. ერთი სიტყვით, პრობლემა არ გაგვაჩნია.

**– ბელორუსიის დედაქალაქში საქართველოს ძირითადი ნაკრები მიემგზავრება?**

– „სტაიკებში“ (მინსკის მახლობლად) მიგვყავს ის მოჭიდავეები, რომლებიც ოვიედოს ევროპულ ტატამზე დაიცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას. აი, ისინიც: 60 კილოგრამში – თბილისელი ნესტორ ხერგიანი, 66 კილოგრამში – საგარეჯოელი გიორგი რევაზიშვილი, 73 კილოგრამში – მცხეთელი ჯონდო მუზაშვილი, 81 კილოგრამში – სოსო ლიპარტელიანი, 90 კილოგრამში – თბილისელი გიორგი გუგავა, 100 კილოგრამში ნაკრების წევრია დუშელი ივერი ჯიქურაული (იგი ავსტრიაში წავა შეჯიბრებაზე და მინსკში ვერ გამოგვყვება). მძიმე წონაში გორელი რამაზ ჩოჩიშვილი იჭიდავებს.

**– რაიმე სიახლე ხომ არ არის ნაკრების შემადგენლობაში?**

– მინსკში მიგვყავს 19 წლის მძიმე წონის რუსთაველი გიგანტი, 120-კილოგრამიანი ზვიად ჩინჩალაძე, რომლის სიმაღლე 190 სანტიმეტრია. ამ უდავოდ პერსპექტიულმა მოჭიდავემ გვინდა, რომ გამოცდილება მიიღოს. საქართველოს ნაკრებში, ალბათ, გიკვირთ სამბოში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ჯონდო მუზაშვილის გამოჩენა. მან მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მუზაშვილმა კეთილსინდისიერად გაიარა მოსამზადებელი ეტაპის ყველა საფეხური, ირანის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში ჩემპიონი გახდა, ხოლო მოსკოვში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საერთოდ, მუზაშვილი ჭკვიანი მოჭიდავეა და მწვრთნელებს მასთან პრეტენზიები არა გვაქვს. ასეთივე აზრისა ვართ შოთა ჩოჩიშვილის ვაჟზე, რამაზზე, რომელიც №1-ია მძიმე წონაში. რამაზმა გერმანიის საერთაშორისო შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**– კი მაგრამ, გიორგი ვაზაგაშვილი და დავით ხახალეიშვილი სადღა არიან?**

– თქვენს მიერ ზემოთ დასახელებულ არც ერთ მოჭიდავეს მზადების არც ერთი ეტაპი არ გაუვლია და კონტინენტის პირველობაზე ვერ წავიყვანთ. 66 კილოგრამ წონაში რევაზიშვილმა პარიზში ოქროს მედალი მოიპოვა, რასაც ბრწყინვალე შედეგად მივიჩნევ. გიორგიმ 6 შეხვედრიდან ხუთი იპონით (წმინდად) მოიგო, ბოლო მეექვსე ორთაბრძოლა კი „ვაზარის“ შეფასებით. გარდა ამისა, მან მესამე ადგილი მოიპოვა ავსტრიაში. მისი გამოსვლა 66 კგ-ში, ძირითადად, გადაწყვეტილია. რაც შეეხება დავით ხახალეიშვილს, მან ამირან ტოტიკაშვილს უთხრა, თავი დამანებეთო. დღეს ევროპაში ფრანგი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის დავიდ დუიეს გარდა 5-6 მოჭიდავეა, რომლებიც ოვიედოში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ: ბარნაველი (ბელგია), პოლონელი კუბაცკი, თათაროღლი (თურქეთი), ესპანელი პერესი, ჰოლანდიელი ვან დერ-გესტი, ესტონელი პეტერსონი და მსოფლიოს პირველობის პრიზიორი, გერმანელი მიულერი.

**– როგორც შევიტყვეთ, შემოდგომაზე თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ისევ „ა“ კატეგორიის ტიტული მიენიჭება. რამდენად მართალია ეს?**

– ჩემი პირადი ძალისხმევისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ევროპის ჭიდაობა ძიუდოს ფედერაციის მამები დავიყოლიეთ ამ ნაბიჯის გადადგმაზე. 31 ოქტომბერს დაიწყება და 1 ნოემბერს დასრულდება თბილისის უკვე „ა“ კატეგორიის გრან-პრიდ წოდებული დიდი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც, მართლაც, არნახულ, მაღალ სპორტულ დონეზე უნდა ჩავატაროთ, რათა აღნიშნული სტატუსი შევინარჩუნოთ. პარიზიდან გვეწვევიან სპეციალური დამკვირვებლები და მისხალ-მისხალ აღნუსხავენ ყოველივეს. ერთი სიტყვით, სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ, რადგან მასში მონაწილეობის სურვილი უკვე დაგვიდასტურეს ფრანგებმა, ინგლისელებმა, ჰოლანდიელებმა, გერმანელებმა და თვით იაპონელებმაც. გარდა ამისა, ივლისის შუა რიცხვებში თბილისს ეწვევა იაპონიის უძლიერესი ნაკრები, რომელიც 7-დღიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გამართავს საქართველოს ნაკრების კანდიდატებთან.

**– დასასრულ, კიდევ ერთი შეკითხვა. რით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ 1998 წელს არ გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი?**

– ჭიდაობა ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატი 2 წელიწადში ერთხელ იმართება, რის გამოც წლეულს მას შეცვლის მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც სექტემბერში მინსკის სპორტის სასახლეშია დანიშნული. მასში 4 ევროპის, 3 აზიის და 2 სამხრეთ ამერიკის, აგრეთვე ამდენივე აფრიკის რეგიონის გუნდები გამოვლენ.

ესაუბრა
**შალვა ჩიხლაძე.**

## ყოველი მხრიდან

### სიჭაბუკის ზეიმზე



ეს დათუნია ჭაბუკთა პირველი მსოფლიო თამაშების თილისმაა. სიჭაბუკის ამ დიდ დღესასწაულს მოსკოვი უმასპინძლებს 11 ივლისიდან და მასში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 140 ქვეყნის ხუთი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ისინი სპორტის 15 ოლიმპიურ სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქში, ღამის კლუბ-რესტორანში „ო' გრედისის ვარდები“ გაიხსნა თამაშების საინფორმაციო ცენტრი.

პრეს-კლუბის გახსნის ცერემონიაზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გამოაქვეყნა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირის კენჭისყრის შედეგები. აი ისიც: „A“ **ქვეჯგუფი:** – 1. სლოვაკია, 2. ლიტვა, 3. კატარი, 4. მექსიკა. „B“ **ქვეჯგუფი:** 1. პორტუგალია. 2. ფინეთი, 3. ბელორუსია, 4. განა. „C“ **ქვეჯგუფი:** 1. რუსეთი, 2. ლატვია, 3. ჩილე, 4. საუდის არაბეთი. „Д“ **ქვეჯგუფი:** 1. პოლონეთი, 2. თურქეთი, 3. საქართველო, 4. აშშ.

### ძალადობის გარეშე

პოლონური ფეხბურთის ვარსკვლავებმა ფირფიტაზე ჩაწერეს სიმღერა „ძალადობის გარეშე“. ეს არის თავისებური ჰიმნი პოლონეთის სტადიონებზე აგრესიის წინააღმდეგ. ფაქტობრივად ქვეყნის ჩემპიონატის არც ერთი ტური არ მთავრდება ექსცესებისა და მასობრივი ცემა-ტყეპის გარეშე. რამდენიმე სტადიონი უკვე დაიკეტა გულშემატკივრების უდისციპლინობის გამო.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, ამ სიმღერას რომ მოისმენენ, ხალხიც ჩაფიქრდება, გაიხსენებს, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს სპორტი, როგორი უნდა იყოს საფეხბურთო დღესასწაული და მისი გულშემატკივარი“, – განაცხადა ფირფიტის გამომცემელმა ჰშემისლავ ლიშიკმა. სიმღერის, რომელიც პირველად 14 აპრილს შესრულდა, სიტყვების ავტორმა გადაწყვიტა, რათა ფეხბურთის ხულიგნების რისხვა აეცილებინა, მისთვის ფსევდონიმი იოკოს მოეწერა.

ფეხბურთელთა მომღერლებმა გადაწყვიტეს: ჰიმნის შესრულებისათვის მიღებული ჰონორარი მოახმარონ სერიოზულად დაავადებული 3 წლის ბიჭუნა დავიდისათვის სამედიცინო ხელსაწყოების შეძენას.

## სანთელი

# სამშობლოსთვის გულანთებული



აფხაზეთის ომის მსხვერპლთა ნუსხაში სპორტსმენებს გამორჩეული ადგილი უკავიათ. სამშობლოსათვის გულანთებული ვაჟკაცები „ქართველ შევარდენთა ლეგიონსაც“ ამშვენებდნენ. დღეს ერთ-ერთ მათგანს, 21 წლის მარად ჭაბუკ **კახა ხიდეშელს** გავიხსენებთ.

იგი თავისუფალი სტილით ჭიდაობის ანბანს სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში“ ეზიარა. პირველთანრიგოსან ფალავანს თამაზ ბენდიანიშვილი ავარჯიშებდა.

როდესაც ქვეყნის თავზე ავბედითი ღრუბლები მომრავლდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერმა ყმაწვილმა უყოყმანოდ მოჰკიდა ხელი იარაღს და აღსასრული ლაბრასთან, სნაიპერის ტყვიით განგმირულმა ჰპოვა.

ნათელში ამყოფოს!

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

საქართველოს რესპუბლიკა
№93, კვირა, 19 აპრილი, 1998 წელი.

სანთელი

# ...და ისევ ერთად ვსუნთქავდით



ცნობილი ქართველი პოეტის ნაზი კილასონიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო საქართველოს მწერალთა კავშირში ყოველგვარი ოფიციოზისა და პომპეზურობის გარეშე გაიმართა: — ისევე მოკრძალებულად და ლარიბულად, როგორც იცხოვრა, ისევე ამაღლებულად და ლირიულად, როგორი პოეზიაც დაგვიტოვა... ვუჯერა მისი სული ამასაც დიდ მეებად მიიღებდა, რამეთუ ვიცით, ლუხჭირი ყოფის მიუხედავად, მის ბედნიერებას მცირედი ჰყოფნიდა. — საქართველოში რომ ერთად ვსუნთქავთ, სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი, — წერდა პოეტი ქალი.

აქ, მართლაც ერთი სუნთქვით და მისი არყოფნის სინანულით შეკრული მისი მეგობრები, ახლობლები, კოლეგები და მკითხველები იგონებდნენ ქართლის გვირილიანი ბილიკებით მოსულ თავანკარა წყაროსავით გამჭირვალე პოეზიას და მის ავტორს, რომელსაც მხოლოდ „ლექსების ქარი ულეწავდა მკერდს“... იგონებდნენ სხვისი ტკივილის უზადოდ მგრძნობიარეს, და მაინც — „ყვავილების მაყარი ვარ, და ყველაზე მაღალი ვარო“, — რომ მღეროდა, იგონებდნენ პოეტს, რომლის ლექსებს დიდი თუ პატარა გულით მღეროდა და მღერის, რადგან გულიდანაა წამოსული. ხსოვნის საღამოზე დავით მჭედლურის, ემზარ კვიტაიშვილის, მალევა მჭედლიშვილის, ნანა კანდელაკის, ეთერ ჯაფარიძის და მარი აბრამიშვილის სევდიან გამოსვლებში იკვეთებოდა რაღაც კონკრეტული ეპიზოდები, უიღბლო პოეტი ქალის ცხოვრებიდან, რაც სხვებისთვისაც საინტერესო მოსასმენი და დასამახსოვრებელი იყო. მაგრამ უეჭველად უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ მისი არყოფნის წუხილსა და სინანულს, ბევრად სჭარბობდა წუხილი იმის განცდისა, რომ ნაზი კილასონია დაუფასებელი წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ მისი ნიჭი სათანადოდ ვერ შეაფასა თანამედროვეობამ, ხოლო მისი გარდაცვალებიდან სულ მოკლე დროში მისი სამი ვაჟიშვილიდან ორის ერთად დაღუპვა ავტოკატასტროფაში, ნაზი კილასონიას ტრაგიკული ბედის ეკლიანი გვირგვინი იყო... იქნებ მხოლოდ იმაშიც უნდა ვეძიოთ შვება, რომ იგი ჩვეულებრივ სამოქალაქო სასაფლაოზე განისვენებს, რამაც შესაძლებელი გახადა დაღუპული ვაჟიშვილები მის გვერდითვე დაეკრძალათ.

საქართველოს მწერალთა კავშირში ნაზი კილასონიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო დიდი მარხვის, აღდგომის წინა დღეებში ნიშანდობლივიც და სიმბოლური იმითაც იყო, რომ უმძიმესი დღე ახლოვდებოდა — ჯვარცმა! ხოლო შემდეგ ქრისტე უნდა აღსდგეს... ყველა ქრისტიანმა თავისი მიცვალებულის საფლავს ნარ-ეკალი უნდა მოაცალოს. იქნება ჩვენც ვცდილობთ, რაც ამ წუთისოფელში დავაკელით, მისი წასვლის შემდეგ მაინც გამოვასწოროთ.

ხსოვნის საღამოზე არაფერი თქმულა ახალი. ელდინო სალარაძესთან და მსახიობებთან ერთად ბავშვთა თეატრის „ენკი-ბენკის“ პატარა მსახიობმა ნინო იმნაიშვილმაც გაალამაზა საღამო, პოეტის გამოუქვეყნებელი ლექსით „მშობელთა კრება“. ჩვენმა დიდებულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მარიკა ბარათაშვილმა, ვისთანაც ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდა ნაზი კილასონია, და ვის მიმართაც „საქართველოს ქალის“ რედაქტორი ნიადაგ სულიერ და მატერიალურ მზრუნველობას იჩენდა, მწერალთა კავშირში ნაზისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი გამოაგზავნა, რომელიც დამსწრეთ ზაზა ბოტკოველმა წაუკითხა.

ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის კი, ერთი პატარა შტრიხით გამდიდრდა პოეტის პორტრეტი. აქ შევიტყვეთ, რომ მას თურმე რედაქციაში, კარადის უკან, გიტარა ჰქონია და ხანდახან დაიღიღინებდა კიდეც...

ღლეიდან მას ვხედავ გიტარით ხელში, სევდიანს, ნაღვლიანი თვალებით, რომლის ლექსების პირველი მსმენელი გიტარა იყო. იქნებ აქ არის მისი პოეზიის უბადლო მელოდიურობის საიდუმლო, რაც ასე გვხიბლავს და ბოლოს... მინდა ბევრჯერ გაკრიტიკებული, კარგად ვერ გაგებული და მაინც საოცარი პოეტური მიგნებით ნათქვამი სტრიქონებით დავასრულო სიტყვა ნაზი-კილასონიაზე: „განა სიყვარული მინდოდა, სხვა რაღაც, უფრო წმინდა“.

**დოდო იორდანიშვილი.**

# სიკვდილის წინაც ქართველ-ოსთა შერიგებაზე ოცნებობდა



ცხინვალელები უკანასკნელ გზაზე აცილებდნენ თავის დროზე ნიჭიერსა და გაბედულ ჟურნალისტს დარიკო მურადოვას.

როცა სახლის ეზოში დასვენებულ ცხედართან ხალხმა თავი მოიყარა, თეიმურაზ მეშვილდემ სამმხრის დეპეშების ნაცვლად დარიკოს დატოვებული უკანასკნელი წერილი წაიკითხა.

„მე სერიოზული სენით ვიყავი დაავადებული, მაგრამ დიდხანს გავუწიე წინააღმდეგობა სიკვდილს, ბევრჯერ დავჯაბნე. ახლა კი ვიცი, რომ ბრძოლა წავაგე, რადგან უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქართველებსა და ოსებს შორის უაზრო ბრძოლამ, დაძაბულობამ სახო წარმიკვეთა. მე ხომ ისინი ერთნაირად მიყვარს. სარეცელზე სიცოცხლეს რომ ვესლაუჭებოდი, ხელებაპყრობილი ღმერთს შევთხოვდი „უფალო, ქართველი და ოსი ხალხი შეარიგე, ყველა განსაცდელს გადაარჩინე“...

მაპატიეთ, რომ ასე მოულოდნელად გამოგეცალეთ ხელიდან. მე ჩემი საყვარელი ცხინვალის, ზლუდრის მიწა მელოდება, ჩემი წინაპრები და ჩემი პატარა ბიჭი.

იმ წუთიდან, როცა ჟურნალისტის პროფესიას ვეზიარე, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ მტყუანი არასოდეს გამემართლებინა, მართალი არ გამეწირა. ამიტომაც თუ დამიმახსოვრეს და თავისიანად მიმიღეს ოსებმაც, ქართველებმაც, ჩემი ნაწერების გმირებმა, ბედნიერი მივდივარ გზამართალს.

ბევრი დარდი და მწუხარება, ბევრი უსამართლობა გადამიტანია, მაგრამ არ გავბოროტებულვარ. ყველასთვის შემინდვია გულწრფელად და ალალად.

ჩემი სიცოცხლე ჩემს ერთადერთ ქალიშვილსა და ორ შვილიშვილში ალექსანდრესა და ვლადიმერში გრძელდება. გლოცავთ, ჩემო შთამომავალნო“.

ჟურნალისტმა კიდევ ერთხელ თქვა თავისი სიტყვა, რომელმაც ადამიანების გულში შეაღწია და დააფიქრა ისინი. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე მუდამ იქ იყო, სადაც მკითხველს მისი თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებოდა. მეუღლესთან, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტ ალექსანდრე ქუმარიტოვთან ერთად ქალბატონ დარიკოს დიდი წვლილი შეჰქონდა ქართველ-ოსთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ამ ორი ხალხის ტრადიციული მეგობრობის აღდგენაზე მეოცნებე ქალს წლეულს 77 წელი შეუსრულდებოდა.

**ციალა კახნიაშვილი,**
**ცხინვალი.**

# კაცი, რომელიც სხვისი ჭირითა და სიხარულით ცხოვრობდა

ბედნიერია ის ადამიანი, ამ მართლაც წუთის სოფელში რომ მოასწრებს იმდენი კეთილი საქმის გაკეთებას, რომელიც მომავალ თაობებს გულის სხივით გაუნათებს და გაუკვალავს გზას.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველო-იტალიის საზოგადოების პრეზიდენტი ვახტანგ ესვანჯია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც მთელი თავისი ცხოვრება თავდაუზოგავად ემსახურებოდა მამულიშვილურ საქმეს.

... ვახტანგ ესვანჯია იყო განათლებული, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც ერკვეოდა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ჰქონდა არაჩვეულებრივი ალღო, კვლევის განსაკუთრებული ნიჭი, რაც მან გამოამჟღავნა გაზეთ „სამშობლოში“ მუშაობისას — იგი ხომ ამ გაზეთის პირველი რედაქტორი გახლდათ. რამდენი ძალისხმევა მოანდომა იმას, რომ გაზეთი სათანადოდ გამოსულიყო. ეს იყო, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით ნალოლიავები საქმე. იგი რედაქციაში ყველაფერზე ზრუნავდა, მარტო გაზეთზე კი არა — ავეჯიდან და ტელეფონიდან დაწყებული, განსაცმლის საკიდით დამთავრებული. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც მისი მამულიშვილური მიზანი იყო — უცხოეთში მცხოვრები ქართველები მშობლიურ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს აზიარა. ამ გაზეთის მეოხებით იგი ხელს უწყობდა უცხოეთში დაცული საარქივო მასალების გამოქვეყნებას. ყველამ იცის, მაშინდელი პრესა როგორ მკაცრ ცენზურას გადიოდა და რა ძნელი იყო ამ პერიოდში ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომელზეც „ტაბუ“ იყო დადებული. რამდენი ღირსეული თანამემამულის სახელი იყო მიმალული და მიჩქმალული. სულ ორწელიწადნახევარი იმუშავა ბატონმა ვახტანგმა ამ გაზეთის რედაქტორად, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლო.



**სურათზე: ვახტანგ ესვანჯია თავის იტალიელ მეგობართან, პალერმოს მერთან ლეოლუკა ორლანდოსთან (მარცხნივ) ერთად.**

პირველი საინტერესო წერილი პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვარსა და კალისტრატე სალიას შესახებ მოგვითხრობდა ბატონმა ირაკლი აბაშიძემ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მაშინდელმა რედაქტორმა, ვახტანგს დაურეკა, დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა, რომ დიმიტრი ამილახვარს ენციკლოპედიის პირველ ტომში შეიტანდა. სწორედ ამ გაზეთის თაოსნობით დაისვა საკითხი კალისტრატე სალიასთვის თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

ვახტანგ ესვანჯიას რედაქტორობის პერიოდში „სამშობლომ“ დიდი წვლილი დასდო მცხეთის სასულიერო სემინარიის დაარსებასაც: აქ პირველად დაიბეჭდა ინტერვიუ მაშინდელ საქართველოს პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ეფრემ II-სთან, რომლის თხოვნითაც მას დაესვა კითხვა, რომ მცხეთაში სასულიერო სემინარია მართლა იყო თუ არა, რაზეც პატრიარქმა უპასუხა — სემინარია 6 წელიწადია არსებობსო. სინამდვილეში ეფრემ II თურმე ამ ხნის განმავლობაში უშედეგოდ იბრძოდა ამ სემინარიის გახსნისთვის. ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ კი რესპუბლიკის მაშინდელი ხელისუფლება იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო, მანამდე კი პატრიარქი თავად ეახლა რედაქციაში რედაქტორს და მადლობა გადაუხადა.

...ამ გაზეთის საშუალებით ა. გაბრიჩიძემ ამერიკაში იპოვა 30 წლის უნახავი ძმა, გერმანელმა ქართველმა ჰანა ცეტშემ — მამამისი ყარამან სირაძე...

სადაც უნდა ყოფილიყო ვახტანგ ესვანჯია, რა სამუშაოზეც, ყოველთვის თავისი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა.

...მისი სენაკში რაიკომის პირველ მდივნად მუშაობისას გაიხსნა შვიდი სკოლა, კეთილმოეწყო გზები, გადაიჭრა წყლის მომარაგების საკითხი, მოხდა სტადიონის გენერალური რეკონსტრუქცია, გაიხსნა ორი მექანიკური ქარხანა, სამხატვრო გალერეა, აკაკი ხორავას ძეგლი, შეიქმნა „ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი“...

წლების განმავლობაში ვახტანგ ესვანჯია გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი იყო და აქაც წარმოაჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, საქმისადმი პრინციპულმა და მომთხოვნმა, ხოლო კოლეგებისადმი გულისხმიერმა, მათი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელმა ადამიანმა.

ბატონი ვახტანგი, დახვეწილი ინტელიგენტი, ჩინებულად ერკვეოდა ხელოვნებაში, მეგობრობდა ბევრ ცნობილ პოეტთან, მხატვართან, პროზაიკოსთან. ცნობილმა რუსმა პოეტმა რიმა კაზაკოვამ მას ლექსიც კი უძღვნა. განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ვახტანგს ჩვენს სასიქადულო მამულიშვილთან ლადო გუდიაშვილთან, რომელმაც მას რამდენიმე ფერწერული ტილო აჩუქა.

ვახტანგ ესვანჯიას არ ჰქონდა დამთავრებული არავითარი დიპლომატიური სპეციალური სასწავლებელი, მაგრამ მან მოახერხა იტალია-საქართველოს შორის გაედო ნათელი, ჭეშმარიტად მეგობრული ხიდი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჟურნალისტმა გაკვალა გზა იტალია-საქართველოს შორის, როცა იტალიის სახალხო გმირის ფორე მოსულიშვილის და მისი მეგობრების საფლავები მოიძია, ხოლო იტალიელი პარტიზანები საქართველოში რამდენჯერმე ჩამოიყვანა. აქედან გაედგა ღრმა ფესვები მის მეგობრობას იტალიასთან.

ამ ჭეშმარიტმა მეგობრობამ იტალიელ და ქართველ ხალხებს შორის თავისი ნაყოფი გამოიღო ჩვენთვის ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში, როდესაც უამრავი ნორჩი დევნილი ბავშვი აზიარა სიცილიის მზის მცხუნვარებას, იქაური ადამიანების სითბოსა და სიყვარულს, ლაღ და ბედნიერ ყოფას.

სექტემბერში საკუთარი თვალით ვნახე სასტუმრო „ივერიაში“ იტალიიდან ჩამოსული ბავშვების დაბრუნება. ნაირფერი ჩანთებითა და განსაცმლით დამშვენებული ნორჩები, როგორი აღტაცებული სახეებით გადმოდიოდნენ მანქანებიდან. ეს იყო ნამდვილი სიკეთის, ადამიანობის, თანადგომის ზეიმი, რომლის სულისჩამდგმელი ვახტანგ ესვანჯია გახლდათ.

რამდენი ბავშვი გამოჯანმრთელდა, რამდენს გაუკეთდა ოპერაცია, რამდენმა ქართველმა ბავშვმა შესანიშნავად ისწავლა იტალიური ენა...

ვახტანგ ესვანჯიას თაოსნობით სულ ბოლო ხანს თბილისში გაიხსნა იტალიური სკოლა, რომლის პირველი გამოშვება იტალიაში უნდა გაეგზავნა ერთი წლით სასწავლებლად. კიდევ ვინ იცის, რამდენი სასიკეთო საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა... იტალიის საზოგადოება ღრმად დაამწუხრა მისმა გარდაცვალებამ. იტალიურ პრესაში უამრავი გამოსამშვიდობებელი სტრიქონი დაიბეჭდა — ეთხოვებოდნენ იტალიელი მეგობრები: პალერმოს მერი ლეოლუკა ორლანდო, ბელჯირატეს მერი დოქტორი ჯანფრანკო ბორონი, ასოციაცია „ENFAP“-ის პრეზიდენტი ანტონიო ჯილიო ტარგანო, მხოფლიოს თავისუფალ ბავშვთა ასოციაცია „ლიბერულას“ პრეზიდენტი ლეონარდო აბელა... პალერმოდან ჩამოვიდა იტალიელი ქართველი ლ. ჯალაღონია, რომელსაც ბ-ნმა ვახტანგმა საქართველოში ნათესავები აპოვნინა.

საოცარი და მკაცრია ჩვენი სინამდვილე ამ ცოდვით სავსე წუთისოფელში, ხშირად ჩვენიანს ისეთ პატივს ვერ ვცემთ, როგორიც მას ეკუთვნის, პირიქით — ზოგჯერ ისეთ აბსურდულ ბრალდებას წავუყენებთ, რომელიც შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს ადამიანისათვის...

რამდენს მოაკლდა ვახტანგის მამობრივი სითბო, სიკეთე ან ის დიდი საქმეები, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს შეუძლიათ, ისეთებს, როგორიც ვახტანგ ესვანჯია იყო...

**ია ესვანჯია-ჩხარტიშვილი.**

სანთელი

# ასე ყოფილა წუთისოფელი

## ლაურა ძეძამიძის ხსოვნას



20 აპრილი ხსოვნის დღეა. ეს, ისე... თორემ, წელიწადის ყოველ დღეს შენს ხსოვნაში ვათენ-ვაღამებთ. ოთახის კედლები შენი სურათებით გვაქვს მოფენილი, გაეახელთ თვალს და გიცქერით. ხან გვიღიმი, ხან გვიწყრები. კი ვართ გაწყრომის ღირსნი, რომ ვენ გიხსენით სიკვდილისგან. ყოველთვის ჩვენს გვერდით გვეგულვი. შენ ერთი სიკვდილი ვერაფერს დაგაკლებს, მეორე და მესამე კი არ გიწერია, რადგან შენ თვითონ დაიდგი ჩვენში უკვდავების ძეგლი შენი კეთილშობილებით, სათნოებით, სანამ ცოცხლები ვართ, შენც იცოცხლებ ჩვენთან ერთად, შემდეგ კი ჩვენი ვაჟკაცები — ლევანი და ლაშა ერთად მოგვიხსენიებენ. რას ვიზამთ, ასე ყოფილა წუთისოფელი... შენ ცოცხლობ შენი რედაქციის „საქართველოს რესპუბლიკის" მეგობრებს შორისაც.

შენს ლექსთა კონას მალე გამოვცემთ, ეს იქნება ის ძეგლი, რომლის დადგმასაც შენთვის მარმარილოს ნაცვლად სიმბოლურად მოვახერხებთ.

გვენატრები, გვენატრები, დაო!

**შენი მარადი და მზია.**

# რა ტკივილიანი დღეა...

## დოდო გედგინიძის ხსოვნას



შარშან ამ დროს ერთად ვისხედით და ვსაუბრობდით ტკბილად მოსაგონარ მეგობარ-ახლობლებზე. რას ვიფიქრებდით, რომ დღეს მათთან ერთად შენს სახელსაც მოვიხსენიებდით! რა ტკივილიანი დღეა...

როგორ გვაკლიხარ, დოდო. ვერ ვიშორებთ შენზე შავ ფიქრებს — ზოგი ხმამაღლა გამოთქვამს, ზოგიც უჩუმრად იმშრალებს ცრემლებს. ასე გვგონია, აი, ახლა შემოაღებ კარს, ჩვეული ღიმილით მოგვესალმები, ყველას მოგვიკითხავ გულთბილად და შემდეგ შეუდგები მუშაობას, მაგრამ...

შენს ქმარ-შვილს ძალიან უჭირს უშენობა, ვიმედოვნებთ, რომ გიორგი შენს სასახელოდ სანაქებო კაცი დადგება.

გვენატრები, ძალიან გვენატრები ყველას.

**თანამშრომლები**

# შენ ვერასოდეს იქცევი წარსულად...

## ლერი ლომიტაშვილის ხსოვნას

მხოლოდ 23 წელი — აი, მთელი შენი სიცოცხლე. პირველი აღდგომაა, უშენოდ რომ შევხვდით და თითქოს ღვთის განგებააო, შენი გადასვლა სულთა საუფლოში სწორედ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა.

დღეს 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ლერი. შენ მეორე ტკივილი ხარ ჩვენი მეგობრის და თანაკლასელის — მალხაზის შემდეგ. უდროოდ წასვლაც არ ეთქმის თქვენს გარდაცვალებას. ეს უფრო დიდი ტკივილია, უფრო გაუსაძლისი.



ძნელია ჩვენთვის იმის აღქმა, რომ ასე ადრეულ ასაკში გვიწევს უთქვენოდ ცხოვრების გაგრძელება.

არც კი ვიცით, რა დავარქვათ ყველაფერ ამას. სიტყვაც ვერ დაგვიძრავს შენი მშობლების და შენი დების სანუგეშოდ, ჩვენო ლერი; შენ ხომ ერთადერთი იყავი მათთვის... და ჩვენთვისაც — შენი გამორჩეული სიყვარულით, შენი გულუბრყვილობამდე შთამბეჭდავი სიკეთით. შენთვის გაუგებარი იყო, რა არის ბოროტება, რა არის სიძულვილი, რა არის... სიკვდილი...

და, განგების ძალით, სიკვდილსაც ძალიან ადრე ჩახედე თვალებში უკურნებელი სენის გამო, რომელმაც ულმობლად დაგრია ხელი.

მემკვიდრე მაინც დაგეტოვებინა შენი გარდაცვალებით განადგურებული, მწუხარებით დათრგუნული მშობლებისათვის.

ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო, უშენობით მიღებულ ტკივილს კი ვერაფრით მოგვირჩენს, ვერაფრით გაგვინელებს დრო და ხანი. ასე დაგვემართა მალხაზის გარდაცვალების დროსაც. ახლა შენ, ჩვენო ლერი.

ეს რა დღეში ჩაგვაგდეთ ბიჭებო, ეს რა მეხთატეხა აგვიტყდა მთელ კლასს?!

რატომ? რა დავაშავეთ? ღმერთო, ნუთუ აუცილებელი იყო შენთვის ასეთი მსხვერპლი?

ძალიან გვენატრები, ჩვენო ლერი. კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი, მაგრამ აქ არა, დღეს შენს საფლავთან რომ მოვალთ, დანარჩენს იქ გეტყვით, მდუმარედ, გულიდან გამოგძახებთ და გვჯერა, გაიგებ — შენ ხომ ჩვენი ლერი იყავი და ყოველთვის ჩვენი ლერი იქნები.

შენ ვერასოდეს იქცევი წარსულად, შენი ოჯახი და მეგობრები ვიქნებით შენი მარადიული სიცოცხლის გარანტი.

**თანაკლასელები, მეგობრები.**

# მოსაგონარი, სამშობლო საფლავებითაც იწყება



ძალიან ახალგაზრდა, 36 წლისა, გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და სპეციალისტი ოთარ ალექსანდრეს ძე ნადარაია. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მაინც ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება შესძლო, მაგრამ განუხორციელებელი დარჩა მრავალი ჩანაფიქრი, რომელთა ხორცშესხმაც, ხალხისა და და ქვეყნის სასიკეთოდ, უთუოდ შეეძლო.

დაიბადა 1921 წელს ქ. ფოთში, მოსამსახურის ოჯახში. 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა ფოთის პირველი ვაჟთა გიმნაზია. იმავე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობით 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა. სხვადასხვა დროს იგი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწეობდა ისეთ ცნობილ საზოგადო, ჭეშმარიტ სახალხო მოღვაწეთა გვერდით, როგორებიც იყვნენ სულმნათი ნინა ქვანია, შოთა ჭანუყვაძე, ანგული ქვარცხავა, მიხეილ ლვინჯილია, ათინოგენ მენაღარიშვილი, დამიანე გოგოხია, პეტრე ქლენტი, ნიკოლოზ ლაჭყებიანი, ოთარ თაქთაქიშვილი, ავთანდილ გუნია, ვახტანგ ჭეიშვილი, დიმიტრი გამყრელიძე, ვახტანგ კახეთელიძე, ნიკოლოზ იაშვილი, ალიოშა წურწუმია, ვენორი ქაჩახია და მრავალი სხვა.

მისი მეგობრები, აკადემიკოსები ალექსანდრე მოწერელია, ცოტნე მირცხულავა, ილია ტაბაღუა, ხუტა ბერულავა, გივი წითლიძე, ნინო ლაკია, ოთარ საღარეიშვილი, ფარნაოზ დულაშვილი, ელადიმერ მერკვილაძე, ნოშრევან ქორიძე, ასლან ხარბედია, ანდრო კიკნაველიძე და მრავალი სხვა დღესაც დიდი პატივით იგონებენ და ნათელს მიაგებენ უდროოდ, ახალგაზრდობაში გარდაცვლილი მეგობრის მარადიულ ხსოვნას.

ოთარ ნადარაიას წლების განმავლობაში ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები: იყო საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, პარტკაბინეტის გამგე, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე, განყოფილების გამგე, მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი. უკვე ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების გამგედ, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ, განყოფილების გამგედ, პარტიის გალის რაიკომის პირველ მდივნად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ...

1944-1945 წლებში ოთარ ნადარაია სწავლობდა მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. მოსკოვში მასთან ერთად სწავლობდნენ და ახლო მეგობრობა ჰქონდათ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლკუნოვს — ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, გაზეთ „იზვესტიის" მთავარ რედაქტორს, „აპნ"-ის გენერალურ დირექტორს, ცნობილ პიროვნებებს კარლო გარდაფხაძეს, გივი ჯავახიშვილსა და დავით რომელაშვილს, პროფესორებს ავთანდილ თელიას, პორფილე ჯაჭვანს, ახმედ ბაუჟაძეს და მრავალ სხვას...

1944 წელს ოთარ ნადარაიამ რუსუდან გველესიანთან, ცნობილი ბანკირისა და მეცენატის ექვთიმე გველესიანის ქალიშვილთან ერთად შექმნა ოჯახი. ექიმი რუსუდან გველესიანი კოლხეთში მალარიის სენის საბოლოოდ დაძლევის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, გარდაიცვალა 1963 წელს, დაიკრძალა ქ. ფოთში. იგი წლების მანძილზე მუშაობდა ფოთის სამალარიო სადგურის განყოფილების გამგედ ცნობილი, ჭეშმარიტად სახალხო ექიმის ილარიონ ცომაიას ხელმძღვანელობით.

დიახ, ერთობ ახალგაზრდულ ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე და ორგანიზატორი ოთარ ნადარაია, მაგრამ საქმიდან მისი უდროოდ წასვლით მოგვრილ მწუხარებას გვიმსუბუქებს იმის შეგრძნება, რომ მას შვილების მანანასა და ნუგზარის სახით დარჩა ღირსეული შთამომავლობა, რომლებმაც მისაბაძი ოჯახები შექმნეს, ერთგულად ემსახურებიან საქვეყნო საქმეს და კარგ შვილებს უზრდიან ქვეყანას.

**ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმი; საზოგადოება „ფოთი და ფოთელები".**

# მას არ უყვარდა წუწუნი



კულტურის, ხელოვნების, სპორტის დამსახურებული მუშაკის გახსენება გაზეთებით, ტელევიზიით და რადიოთი წესად არის შემოღებული, მაგრამ სამეურნეო დარგის მუშაკის მოგონება იშვიათად ვინმეს გაახსენდება.

პირადად არა ერთ სამეურნეო ხელმძღვანელს შევხვედრივარ. ამათგან მინდა გამოვყო საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" მაშინდელი გენერალური დირექტორი ადოლფ ხუროძე, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მე, როგორც პარტიული კომიტეტის მდივანს, წლების განმავლობაში მქონდა მასთან ურთიერთობა. ჩემთვის სასიამოვნო მოგონებაა ჩვენი ერთობლივი მუშაობის პერიოდი.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი" შეიქმნა 1971 წელს. საწარმოს შექმნის დღიდანვე მუშაობაში უამრავ სიძნელეებს წავაწყდით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ასეთი მსხვილი საწარმოს ჩამოყალიბებას წინ არ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები.

გამოცდილმა სამეურნეო ხელმძღვანელმა სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და, რაც მთავარია, ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით დაიწყო მოქმედება. მან, უპირველეს ყოვლისა, კადრების აღზრდას, შერჩევასა და განაწილებას მიაქცია დიდი ყურადღება. თვით ადოლფ ხუროძე კოლეგიურობის საუკეთესო ნიმუში იყო. ერთი სიტყვით, ბევრი საქებარი სიტყვა შეიძლება ითქვას მისი მისამართით, გახსენებაც ბევრი რამის შეიძლებოდა, მაგრამ მე ჩემი კერძო სათქმელი მაქვს.

არ უყვარდა წუწუნი და „მათხოვრობა". მაგონდება ელექტროტექნიკური მრეწველობის საკავშირო მინისტრის სტუმრობა ქარხანაში. როდესაც დირექტორს შეეკითხნენ, რა პრობლემები გაქვთ გადასაწყვეტი, დახმარება რაში გჭირდებათო, არაფერიო, მოკლედ უპასუხა. როგორ თუ არაფერი? — აი, ნამდვილი ხელმძღვანელი, გადაულაპარაკა ქალაქკომის მაშინდელ პირველ მდივანს თენგიზ მენთეშაშვილს მინისტრმა, — მესმის დირექტორი, რომელიც ყველა საკითხს თვითონ წყვეტს და აგვარებს.

გაერთიანების მშრომელებს კარგად ახსოვთ, როგორ ჩაუყარა ბატონმა ხუროძემ საფუძველი სასურსათო პროგრამის განხორციელებას. მისი დირექტორობის პერიოდში სათაო ქარხანაში გაჩნდა მეფრინველეობის ფერმა, კასპის „ელექტროაპარატში" — საკუთარი დამხმარე მეურნეობა. მან სათავე დაუდო რკონის ძირძველი მიწის აღორძინებას. აქ მშრომელთა დასასვენებელი ბაზა მოაწყო. თბილისთან ახლოს შეიქმნა ბავშვთა დასასვენებელი ბანაკი, ხოლო სათაო ქარხანაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო ფილიალი გახსნა. გაერთიანების კოლექტივი ბევრს აკეთებდა დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ადოლფ ხუროძემ განვლო სიძნელეებით აღსავსე გზა, იყო კვების მრეწველობის მინისტრი და, თუ კვების მრეწველობის სამინისტრო გამოირჩეოდა სხვა სამინისტროებს შორის, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი დამსახურება იყო.

ბევრი რამ გააკეთა მეღვინეობისა და ჩაის მრეწველობის დარგებში სიმძლავრეთა განვითარებისათვის.

რესპუბლიკაში შეიქმნა არსებითად ახალი დარგი — საკონსერვო ქარხნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. გაიზარდა ციტრუსებისა და სხვა ხილის სამრეწველო გადამუშავება, ციტრუსების გადამუშავების მასშტაბთა გაფართოება.

კარგი მოქალაქის, მამულიშვილისა და უაღრესად კეთილშობილი პიროვნების ადოლფ ხუროძის ხსოვნას არასოდეს მიადგება ჩრდილი მისი თანამოსაქმეებისა და იმათ გულში, ვინც ახლოს იცნობდა, ამის დამადასტურებელია „ელექტროაპარატელთა" თაოსნობა — გაიხსნას გაერთიანება „ელექტროაპარატის" ისტორიის დარბაზი-მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტოსურათები იმ ადამიანებისა, რომლებიც ილვწოდნენ გაერთიანების სახელისთვის.

ადოლფის მამა — ვარლამ ხუროძე ცნობილი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რეპრესიების წლებს შეეწირა, მიუხედავად ამისა, ბატონ ადოლფისგან საყვედურსა და წუწუნს ვერ გაიგონებდით.

მისმა მეუღლემ ნადეჟდა ნიშნიანიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, ღირსების ორდენის კავალერმა, საამაყო შვილები აღზარდა — ბატონი რამაზ ხუროძე თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია, თეიმურაზი კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი. დიდებულ ქართულ ოჯახში ვარლამ ხუროძის ტრადიციები გრძელდება.

**ოთარ თოლორაია.**

## სტიქია

# თრიალეთის მთებში ხანძარი მძვინვარებდა

თრიალეთში, სოფელ ხოვლეს სამხრეთით, 30 კილომეტრში მიტოვებული სოფლების – ნათლისმცემლისა და ფილათის მიუვალ მთებში ხანძარმა იფეთქა.

12 აპრილს, ნაშუადღევს ხოვლეში მთიდან ჩამოვიდა სატყეოს უბნის უფროსი ვახტანგ ხარატიშვილი, რომელმაც ხალხს აცნობა ხანძრის შესახებ, თვითონ კი გორს გაეშურა სასწრაფო ზომების მისაღებად.

ოცდაათამდე ხოვლელი ახალგაზრდა ნიჩბებითა და ნაჯახებით შეიარაღდა და მეტყევე ოთარ ლაგრაძის მეთაურობით სოფლის გაჭირვების ტალკვესის, თამაზ ბახტაძის „კამაზით" მთაში ავიდა.

ხანძარი თანდათან მძინვარდებოდა, ხოვლელი ახალგაზრდები თავს არ ზოგავდნენ სტიქიასთან ბრძოლაში, მაგრამ მხოლოდ ნიჩბებით და ნაჯახებით ძალიან უჭირდათ. ოციოდე ცეცხლმაქრი ხანძარს დასაწყისშივე ალკვეთდა, მაგრამ მაშველი ძალა არსაიდან ჩანდა.

ოპერატიულობას თითქოს ვერ დავუწუნებთ კასპის პოლიციის უფროსის მოადგილეს ზურაბ ქეშელაშვილს და სახანძრო სამსახურის უფროსს ჯუმბერ გურწიშვილს. ისინი შეტყობინებისთანავე სახანძრო მანქანით გაემართნენ შემთხვევის ადგილისაკენ, მაგრამ ტექნიკა უვარგისი აღმოჩნდა, იძულებულნი გახდნენ წყალი ხოვლეშივე ჩამოეცალათ და მთაში ცარიელი მანქანით მხოლოდ შუაღამისას ასულიყვნენ.

მეორე დღეს ხალხმა იმატა, – 50 ხოვლელს ამდენივე ატენელი მიემატა. მათ ზემოხანდაკელებიც მიეშველნენ, გორიდან სატანკო ნაწილის ჯარისკაცთა ასეულიც ამოვიდა, მაგრამ სტიქია არა ცხრებოდა.

მესამე დღეს, ისევ ლაგრაძისა და ბახტაძის გამჭრიახობამ გასჭრა, – ხოვლელი მძღოლის ალექსანდრე გოდაძის სამხიდიანი მანქანით მთის წვერზე ტონობით წყალი აჰქონდათ. იქ კი ვაზის საწამლი ზურგის აპარატებით და ვედროებით, ცულებითა და ნიჩბებით შეიარაღებული ხოვლელი და ატენელი ვაჟკაცები ჯარისკაცებთან ერთად უფრო შედეგიანად შეებრძოლნენ სტიქიას.

არადა, ცეცხლი აღმოსავლეთით რკონის ღვთისმშობლის ტაძარს, დასავლეთით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას უახლოვდებოდა.

მეოთხე დღეს სტიქიასთან ბრძოლის ოპერაციას გორის მერი დავით ქობლიანიძე ხელმძღვანელობდა. როგორც იქნა, გორიდან ორი სახანძრო მანქანაც ამოვიდა, მაგრამ ციცაბო კალთებზე ეფექტიანად ვერ მოქმედებდნენ. აქ კი სიმამაცის და მანქანის ფლობის ოსტატობა აჩვენა „თავზეხელაღებულმა" ატენელმა ნუკრი მიხანაშვილმა.

ყოველივე ეს დაწვრილებით იმიტომ აღვწერე, რომ ნათლად მეჩვენებინა ყმაწვილი ჯარისკაცებისა და მოსახლეობის თავდადება მშობლიური ბუნებისა და ისტორიული ძეგლების გადასარჩენად. ასევე მეჩვენებინა ის უბადრუკი და მოძველებული ტექნიკური ბაზა, რომელიც სახანძრო სამსახურს გააჩნია.

დღეისათვის ხანძარი ჩამქრალია, თუმცა მიუდგომელ კლდე-ღრეებში მხრჩოლავი ცეცხლის კერები მრავლად შეიმჩნევა. ამიტომ მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო, რათა ხელახლა არ იფეთქოს ცეცხლმა.

**თამაზ მიქუტიშვილი.**
სოფ. ხოვლე, კასპის რაიონი.

## რეპლიკა

# მსაა ქართული აქცენტი?

როგორც ჩანს, „მოსკოვსკი კომსომოლეცი" ძველებურად, კვლავ კომკავშირულად „უბერავს".

8 აპრილს ამ „ახალგაზრდულმა" გაზეთმა, საკმაოდ „მამხილებელი" მასალა დასტამბა სათაურით „სიგარეტი ქართული აქცენტით". იქვეა ქვესათაური – „ჩეკისტებმა გადაკეტეს გიგანტური კონტრაბანდული არხი". სათაური და ქვესათაური ისეთია, რომ ამ მასალისაკენ მკითხველს აუცილებლად გაექცევა თვალი.

მაინც რა მომხდარა?

1998 წლის 5 მარტს ვლადიკავკაზში, „ბესლანის" აეროპორტში დამჯდარა მოსკოვის ავიაკომპანია „კრილოს" თვითმფრინავი, რომელსაც ბულგარეთიდან, ქალაქ ბურგასიდან ჩამოუტანია 31 ათასი ყუთი სიგარეტი. ლაინერიდან სასწრაფოდ ჩამოუტვირთიათ საქონელი 4 დიდ ავტომანქანაში და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების შეიარაღებული ჯგუფების მეშვეობით დაუბინავებიათ „ოსეთის სოციალური სფეროს" საწყობებში.

როგორც ხედავთ, აქ ფიგურირებს სამი ქალაქი, – ვლადიკავკაზი, მოსკოვი, ბურგასი. მაშ, რა შუაშია საქართველო? რატომაა სიგარეტი „ქართული აქცენტით?"

რატომ და... ეს სიგარეტი ტრანზიტის სახით, რუსეთის გავლით, კონტრაბანდული გზით მიდიოდაო საქართველოში, დიახ საქართველოში. მერე ფრჩხილებშია ჩასმული ასე – (ცხინვალში). კონტრმზვერავებს ვლადიკავკაზშივე შეუმჩნევიათ ასევე სიგარეტით გაძეძგილი ორი ვაგონ-რეფრეჟერატორი, წინა დღით რომ ჩამოუტანიათ თვითმფრინავით და რომლის ადრესატად კვლავ და კვლავ მითითებულიაო სამხრეთოსური ფირმა „სკიფი"...

„სკიფს" არავითარი სავაჭრო გარიგება არა ჰქონია ბულგარეთთან, არც ანგარიშსწორების ანგარიში, არც ბეჭედი, არც შტამპი. ჩანს, ეს ოპერაცია პირველი არ გახლდათ „სამხრეთოსური ფირმისათვის" და არც ყველა კონტრაბანდული ტვირთი იგზავნებოდა ცხინვალში: ის გაძეძგილი ვაგონ-რეფრეჟერატორები რუსეთის ტერიტორიაზე რჩებოდა და რატომღაც, „მოსკოვსკი კომსომოლეცის" ხელდასმით, კვლავ „ქართული აქცენტით"(!)

ოღონდ საქართველოს ბრალი დაუმძიმოს და „მოსკოვსკი კომსომოლეცი" აქვე დიდი აურზაურით იხსენებს „სპირტის ომსაც". წუხს, – ვინ მოთვლის, რა ზარალს ნახულობს ჩვენი ხაზინა მეზობელი ქვეყნების კრიმინალური სტრუქტურების სპირტისა და სიგარეტის „ცუნამით".

არადა, ღმერთმა უწყის, რომ არც მაშინდელ სპირტსა ჰქონია „ქართული აქცენტი" და არც ამჟამინდელ სიგარეტს.

**ბონდო გულიაშვილი.**

## კროსვორდი



თარაზულად: 3. სივრცე, სადაც მზადდება და იმლება საომარი ოპერაცია. 5. ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკუნეში. 6. კლდოვანი მასივი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. 9. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი და რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა. 10. გამჭვირვალე ქსოვილზე, ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი, რომელიც გვეჩვენება მოცულობის მქონედ (განათების შედეგად). 11. ქართლის სოფელი. 15. წინსვლა, აღმავლობა. 16. ქართველი თეატრალური რეჟისორი. 17. საზღაური. 20. ალექსეი ტოლსტოის ზღაპრული, პოპულარული თოჯინა. 22. საბჭოთა კინომსახიობის ვიაჩესლავ ტიხონოვის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". 23. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი. 24. დიდი წრის გასწვრივ განლაგებული თორმეტი თანავარსკვლავედი, რომელთა გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში. 25. სახალხო კრება უკრაინაში. 28. ქალაქი დაპომეაში. 29. ძველი ბერძნული ქალაქი – სახელმწიფო. 30. ქარის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა.

შვეულად: 1, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ნაწარმოები. 2. ქართველი მოჭადრაკე ქალი. 3. ფულის ერთეული მექსიკაში. 4. სოფელი მესტიის რაიონში. 5. გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი. 7. ადამიანი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ „ამქვეყნიურ" სიამოვნებაზე. 8. წარდგენა, წარმოდგენა. 9. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა. 12. სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით ნახატის, ორნამენტის შექმნა. 13. ჰანგი, კილო, მოტივი. 14. პატივმოყვარეობა. 18. როლი (ოპერაში, ბალეტში). 19. შვიდი ძველი ბერძენი პოეტ-ტრაგიკოსის ჯგუფის სახელი. 21. ვისიმე მოსაზრების დასაბუთების წინააღმდეგ პაექრობაში, კამათში გამოსული პირი. 22. ინგლისელი პოეტი. 26. ჩაცმა-დახურვის და ყოფა-ცხოვრების სხვა გარეგნული ფორმების მოკლე ხნით გაბატონებული გემოვნება გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში. 27. წერილობითი თხოვნა, საჩივარი.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

**29 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. პროგრესი. 4. ობელისკი. 8. ბუაჩიძე. 9. იმედი 10. სკიპა, 11. ციმბალი. 17. ტერორი. 18. ბრეხტი. 19. პლეხანოვი. 22. პარიზი. 23. ურარტუ. 27. ავიაცია. 29. ტანკა. 30. კამიუ. 31. ყრილობა. 32. ირლანდია. 33. კონტაქტი.

შვეულად: 1. პარიტეტი. 2. განდი. 3. სტუდია. 5. „ბრძოლა". 6. იანკი. 7. ინტარსია. 12. „ბარბაროსა". 13. ტრენერი. 14. ტრაპეზი. 15. არბიტრი. 16. მხედარი. 20. სპარტაკი. 21. ბუნიუელი. 24. ავერსი. 25. ბილბაო. 26. სკოლა. 28. დანია.

## ხსოვნა

# ნიკოლოზ გუდიაშვილი



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი **ნიკოლოზ ივანეს ძე გუდიაშვილი.**

მისი სახით დავკარგეთ მაღალი კულტურის მუსიკოსი და იშვიათი პიროვნული თვისებების ადამიანი, რომელიც საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ნ. გუდიაშვილი ეკუთვნოდა ქართველ კომპოზიტორთა იმ თაობას, რომელიც აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას 30-იანი წლების ბოლოს იწყებს და რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული მუსიკის ჟანრული, თემატიკური და სტილისტური გამდიდრების საქმეში. იგი მოღვაწეობდა მუსიკალური შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებით – კამერული მუსიკის სფეროში. მისმა შესანიშნავმა საფორტეპიანო კვინტეტმა და საფორტეპიანო სონატინამ ქართული მუსიკის ოქროს ფონდში დაიმკვიდრა ადგილი. იგივე ითქმის მონუმენტური საფორტეპიანო ციკლის „24 პრელუდია და ფუგას" შესახებ, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ მუსიკაში. ნ. გუდიაშვილი არის ოპერების, ბალეტების, სიმფონიების, საფორტეპიანო კონცერტების, სიმებიანი კვარტეტების ავტორი. სისტემატურად იდგმებოდა სცენაზე მისი მუსიკალური კომედიები.

ნ. გუდიაშვილი იყო აგრეთვე ერთ-ერთი წამომწყები ქართული საესტრადო და მსუბუქი მუსიკისა. პოპულარობა მოიპოვეს მისმა „ფანტაზიამ ქართულ ხალხურ თემებზე" და საესტრადო სიმღერებმა.

კომპოზიტორის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მელოდიური გამომსახველობა, გულითადობა, შინაგანი სითბო, შეერთებული დახვეწილ გემოვნებასა და პროფესიულ კულტურასთან.

ნ. გუდიაშვილის მთელმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ თბილისის კონსერვატორიაში გაიარა. ომის წლებში იძულებითი ორწლიანი პაუზის შემდეგ ბატონი ნიკოლოზი, ანუ როგორც მას ეძახდნენ ახლობლები – კოკა, მონაწილეობდა კავკასიის დაცვის გააფთრებულ ბრძოლებში – იგი დაუბრუნდა მშობლიურ კონსერვატორიას, სადაც გაიარა გზა მასწავლებლიდან – პროფესორამდე. აქ ასწავლიდა თეორიული დისციპლინების მთელ ციკლს. მას ეკუთვნის პოლიფონიის სახელმძღვანელო (ამ საგნის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე).

იგი მართლაც რომ არაჩვეულებრივი მეოჯახე იყო. შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, მისი მეგობართა წრე ძალზე ფართო და მრავალფეროვანი გახლდათ. ვერ იპოვნით ადამიანს, ვისაც ოდესმე რაიმე ძვირი ეთქვას ამ მართლაც კრისტალური პიროვნების შესახებ.

დიდია ბატონ კოკას ღვაწლი ქართულ მუსიკაში, დაუვიწყარია მისი ადამიანური ხიბლი.

ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩება შესანიშნავი პიროვნებისა და მუსიკოსის – ნიკოლოზ გუდიაშვილის ხსოვნა.

**საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია; საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.**

№ 4 სამშობიარო სახლი იუწყება, რომ გარდაიცვალა
თინა ნოეს ასული ბუხიაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

№ 4 სამშობიარო სახლი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ბრიშა ღარჯანია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლამარა ჭუჭულაშვილი, შვილები ლალი, თეიმურაზ სტურუები, რძალი მარინა აზმაიფარაშვილი, სიძე მალხაზ კერესელიძე, შვილიშვილები ლალი, თემურ სტურუები, ნინო, გიორგი კერესელიძეები, და ლუბა სტურუა, სიძე ანდრო ყუფარაძე, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რაჟდენ ბესარიონის ძე სტურუა
პანაშვიდი 21, 22 IV, 4 სთ. გამოსვენება 23 IV, 2 სთ. იოსებიძის ქ. № 72 ბ VI სად. მე-3 სართ.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოშიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.